საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№ 25 (9856) 2025 წლის 21 თებერვალი, პარასკევი

ფასი 1,5 ლარი

2

„ენჯეოკრატია" — ტროას ცხენი საქართველოსთვის



ევროპა ბაიდენის თამაშს უფსკრულში ჩაჰყვა!

3

ხელოვნების ნიმუშები საქართველოს უბრუნდება!

BBC

არჩილ ჩხოტუა

ჩვენი ოჯახის უროლოგი

5

როცა უნდობლობის საზღაური მომაკვდავ პაციენტთა სიცოცხლეა

„ქართული ხორბლის კულტურა" აღიარებისკენ მიდის!

12

აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები,

იყავი ცხოვრებაში ისეთი, როგორიცა ხარ. ნუ ეცდები ხალხის შეცდომაში შეყვანას. ბუნებრიობას არაფერი სჯობს. შელამაზებული არც გარეგნობა ვარგა და არც შენი ხელოვნური სულიერი თვისებანი– თუ გიხარია, გაიხარე; თუ გწყინს, ნუ ეცდები დაფარვას...

6–7

ვაი ჩვენს ყოფას, ცდომილნო!

იზეიმეთ, ახალგაზრდებო, საზეიმოდ თუ გაქვთ საქმე!

4

კანონები — სახელმწიფოს გადარჩენისთვის!

საზოგადოება „ქართული“ მიესალმება პარლამენტის ინიციატივას ახალ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც არის არა მხოლოდ ქართველი ხალხის უმრავლესობის დაკვეთა, არამედ გადაუდებელი სახელმწიფო აუცილებლობაც.

ეს კანონები გარკვეულად აჯამებს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების განვლილ ეტაპს და არის დასავლეთთან თუ მეზობლებთან ურთიერთობაში გულუბრყვილობის პოლიტიკიდან პრაგმატიზმზე გადასვლის ლოგიკური შედეგი.

დღეს ქართული პოლიტიკური სივრცე რადიკალურად პოლარიზებულია, რადგან გარედან მართული ოპოზიციური სპექტრი და არასამთავრობო სექტორი ქართულ სახელმწიფოს მუდმივ რყევაში ამყოფებს, ხოლო საზოგადოებას დესტრუქციასა და სტრესის ატმოსფეროში, პირობებში, როცა დიალოგს ანაცვლებს სხვისი აზრის მიუღებლობა, სიყვარულს – სიძულვილი, ერთიანობას – ვიწრო პარტიული მიდგომები, ქვეყნის ინტერესებს კი – „დიფ სთეითის“ დირექტივები.

დასავლური ბიუროკრატია წლებია გვამუნათებს რადიკალური პოლარიზაციისთვის, არადა, თვითონ არის საქართველოში დაპირისპირების მთავარი ინიციატორი და სპონსორი. ეს ფარისევლობა გააშიშვლა რუსეთ-უკრაინის ომმა და აჩვენა, რომ მათი მხარდაჭერისა და თანადგომის უპირველესი მდგარა განალური გეოპოლიტიკური ინტერესი – საჭირო დროს მსხვერპლად შევწირვოდით გლობალური ომის პარტიის ინტერესებს და ჩავრთულიყავით მარცხისთვის განწირულ ომში, როგორც ეს 2008 წელს მოხდა. ამაზე პირველმა საჯარო საუბარი „ხალხის ძალამ“ დაიწყო, შემდეგ კი ქართულმა ოცნებამაც დია გახადა „დიფ სთეითის“ გეგმები და მცდელობები საქართველოში მეორე ფრონტის გასახსნელად.

„ენჯეოკრატია“ — ტროას ცხენი საქართველოსთვის

საქართველოსადმი დასავლეთის გარკვეული წრეების ორმაგი სტანდარტი არახალია. ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობა სწორედ მათი დასტურით მოხდა, რადგან მაშინ ისინი რუსეთთან გარიგდნენ. ამავე მოტივით და კონტექსტში მოხდა ედუარდ შევარდნაძის ახალგაზრდა სააკაშვილით ჩანაცვლება. მთელ ამ პერიპეტიებში, კი „დიფ სთეითის“ ძირითადი სამიზნე იყო ქართული საზოგადოება, რომელიც წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გამხმოვანებელს და დამცველს. მილიონებით გრანტი მოხმარდა იმას, რომ მომხდარიყო ქართული საზოგადოების ჩარეცხვა (სააკაშვილის „სლოგანი“) და მისი ჩანაცვლება ე. წ. სამოქალაქო საზოგადოებით, იგივე არასამთავრობო სექტორით, რომელიც გარედან ფინანსდებოდა და იმართებოდა.

ასე მოგვევლინა მსუყედ დაფინანსებული „ენჯეოკრატია“ ტროას ცხენად ეროვნულ სხეულზე.

გარედან მართული აგენტურის საქმიანობის შედეგი კი, სახეზეა – ეროვნული ინტერესების იგნორირება და ნეოლიბერალური „ვოუქისტური“, რადიკალურად მემარცხენე იდეოლოგიების, გენდერული თუ სხვა არაჯანსაღი თეორიების პროპაგანდა, ქართული ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობა, ოჯახურ ღირებულებებთან ომი, ტრადიციული ფასეულობების ფეხქვეშ გათელვა. ეს არის ნეოლიბერალური დასავლური ბიუროკრატიის მიერ თავსმოხვეული რადიკალური დოქტრინა, რომელიც საზრდოობს დაპირისპირებით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით, „ფეიკებით“, განსხვავებული აზრისა და თავისუფალი ნების დევნით, ყოველივე „არატრენდულისადმი“ სიძულვილით და საზოგადოების „ბულინგით“.

ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. ნეოლიბერალური ინტერნაციონალის მავნე იდეოლოგიისგან თავის დაღწევას აშშ-ის ახალი ადმინისტრაციაც ცდილობს. ახლახან მიუნხენის კონფერენციაზე აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯეი დი ვენსმა ამხილა „დიფ სთეითი“ და ლიბერალური ფაშიზმი, ევროპის ლიდერები კი ევროპული ღირებულებების ღალატში დაადანაშაულა. მათ შორის იმაში, რომ არად მიაჩნიათ ამა თუ ქვეყნის მოსახლეობის სუვერენული ნება და შიდა არჩევნებში ჩარევებით და შედეგების გაუქმებით ამაყობენ კიდეც. ანუ ევროპელი ლიდერები დაადანაშაულეს იმაში, რის მიღწევასაც საქართველოში ცდილობენ 2024 წლის 26 ოქტომბრიდან მოყოლებული – ქართველი ხალხის ნების იგნორირებას, პოლარიზაციის უკიდურესად გაღვივებას და რადიკალური სცენარების დამუშავებით საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების შეცვლის მცდელობას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მმართველი გუნდის მიერ ინიცირებული და საპარლამენტო კონსტრუქციული ოპოზიციის მიერ მხარდაჭერილი კანონების მიღება კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შიდა პოლიტიკური სტაბილურობისთვის, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის. ეს არის ისტორიული შანსი იმისთვის, რომ მომდევნო წლებში საქართველომ მშვიდად იცხოვროს და ქვეყანას მუდმივად არ ემუქრებოდეს გეოპოლიტიკურ თამაშებში ზვარაკის როლი.

საკანონმდებლო ინიციატივებში უმნიშვნელოვანესია ამერიკული კანონის „ფარას“ ქართული ასლის მიღება. თავად ამერიკელი კანონმდებლების განმარტებით, „ფარას“ მიზანია უცხოური მთავრობების უკანონო მცდელობის აღკვეთა, გავლენა მოახდინონ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, კანონმდებლობაზე, დემოკრატიულ პროცესებზე და საზოგადოებრივ აზრზე. ეს ყველაფერი ზუსტად ემთხვევა საქართველოში შექმნილ სიტუაციას, თუმცა, აქ სიტუაცია უფრო რთულადაა – „დიფ სთეითი“ უცხოური მთავრობების მიერ დაფინანსებული მარიონეტებით მხოლოდ დემოკრატიას და საზოგადოებრივ აზრს კი არ უტევს, არამედ მშვიდობასაც.

„ფარას“ ქართული ასლის დამტკიცება შეზღუდავს პოლიტიკურ ექსტრემიზმს ანუ უცხოური ფულით დესტაბილიზაციის გამოწვევისა და კანონიერი ხელისუფლებების დამხობის მცდელობებს. პოლიტიკური ექსტრემიზმისთვის საზღვარგარეთული დაფინანსების გადაკეტვით კი გამოირიცხება სახელმწიფოსთვის მთავარი საფრთხე – ქვეყნის სათავეში გარე ძალების მიერ მართული მარიონეტების მოსვლა და უცხოური დირექტივების ბრმად შესრულება, მათ შორის ომში ჩართვა.

უცხოეთიდან მართული პოლიტიკური ექსტრემიზმის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, რადიკალურ ოპოზიციასა და ე. წ. არასამთავრობოებთან ერთად, არის გარედან დაფინანსებული მედიის ნაწილი. ფაქტების მაგივრად პატრონების მიერ წინასწარ შეკვეთილი აღქმები, სიმართლის მაგივრად ალტერნატიული რეალობა, სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა, ტრაგედიებზე პოლიტიკური კონტექსტის მიბმის ამაზრზენი მცდელობა, ცილისწამება, სიძულვილის ენა – მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს ქართული მედიის ნაწილის „საინფორმაციო“ პოლიტიკა.

შესაბამისად, არათუ აუცილებელი, არამედ დაგვიანებულიც კია კიდევ ერთი ინიციატივა – „მედიის შესახებ“ ბრიტანული კანონის ქართული ანალოგის დამტკიცება. ამ კანონის მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია **BBC**, რომელზეც სწორებას აკეთებს მსოფლიოს ნებისმიერ თავმოყვარე მედიასაშუალება. ამით გარანტირებული იქნება ერთი მხრივ, სიტყვის თავისუფლება და მეორე მხრივ, დაცული იქნება საზოგადოების უფლება, მიიღოს რეალური ინფორმაცია და არა დეზინფორმაცია, თავი დაიცვას ცილისწამებისგან და ხელოვნური პოლარიზაციისგან. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტური ეთიკის დამკვიდრება და ბრიტანული სტანდარტებით რეგულირება თავად ზემოხსენებული მედიის ნაწილისთვის იქნება შანსი, ჟურნალისტიკა აკეთონ და არ იყონ პოლიტიკური იარაღი რადიკალური ძალების ხელში.

ასევე დროულად მიგვაჩნია სისხლის სამართლის კოდექსში „სამშობლოს დალატის“ მუხლის აღდგენა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა 2007 წელს გააუქმა. როდესაც საქართველოს მოქალაქე შეგნებულად სწირავს საკუთარ ქვეყანას ნგრევა-განადგურებისთვის, ათასობით თანამემამულეს კი – სიკვდილისთვის, ეს სამშობლოს დალატია – მნიშვნელობა არ აქვს, ამას რომელიმე ოპოზიციური პარტიისა თუ ე. წ. არასამთავრობოს ოფისიდან აკეთებს თუ მაინცდამაინც მტრის ჯარს შემოუძღვება. ამას სჭირდება შესაბამისი იურიდიული ფორმულირება, შესაბამისი სანქცია და სახელის დარქმევა. ასეთი ადამიანები არიან უცხო ქვეყნის აგენტები ანუ მოღალატეები და მათი მხილებისა და ალაგმვის გარეშე, ქვეყანას სტაბილურობა არ ეღირსება.

ჩვენთვის ასევე მისაღებია კანონებიდან იმ პუნქტების ამოღებაც, რომლებიც გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაში უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების სავალდებულო მონაწილეობას ეხება. არასამთავრობოების ფუნქცია არა სპონსორების გარე პოლიტიკური ინტერესების ლობირება, არამედ საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმის კეთებაა. ჩნდება შანსი, რომ ნამდვილმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა რეალურად აკეთონ ქართული საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე და ამისთვის მიიღონ არა უცხოური ფული საეჭვო მიზნებისთვის, არამედ ქართული გრანტები. ძალიან კარგია, რომ შესაბამის კანონპროექტს („გრანტების შესახებ“) პარლამენტი დაჩქარებული წესით იხილავს.

საკანონმდებლო ცვლილებები, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს გრძელვადიან სტაბილურობას და განვითარებას მოუტანს. მით უფრო პირობებში, როცა „დიფ სთეითი“ საქართველოს დღემდე „ბრძოლის ველად“ (ტერიე ჰელანდი) განიხილავს, მათ შორის, ტრამპის ადმინისტრაციის ახალ კურსთან დაპირისპირების კონტექსტში, რომელიც სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობას, სუვერენიტეტების მხარდაჭერას და ტრადიციული ღირებულებების დაცვას უჭერს მხარს.

ამ თვალსაზრისით, ახალი კანონები შეიცავს რეალურ გერკეტებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისთვის და გარედან თავსმოხვეული პოლარიზაციისა თუ ძალადობრივ-რევოლუციური სცენარების დასრულებისთვის...

ნომრის ციტატა

დღეს დაჭაობებულ მსოფლიო პოლიტიკაში ვინც არ ჩაიძირება და არ ჩაიხრჩობა, სამომავლოდ მას დარჩება ბურთიც და მოედანიც!

სვიმონ მასხარაშვილი

სამი წელია, ვამბობ და კიდევ ერთხელ ვიტყვი: სანამ რუსეთ-უკრაინის ომი არ დამთავრდება და მსოფლიოში ელემენტარული წესრიგი არ დამყარდება, თუ საქართველო მოახერხებს ომის თავიდან აცილებას და, როგორც საგარეო ურთიერთობებში, ასევე ქვეყნის შიგნით შეინარჩუნებს მშვიდობას, – ეს საქართველოსთვის დიდგორის ტოლფასი გამარჯვება იქნება! დღეს დაჭაობებულ მსოფლიო პოლიტიკაში ვინც არ ჩაიძირება და ჩაიხრჩობა, სამომავლოდ მას დარჩება ბურთიც და მოედანიც! ქართველი ერი მაქსიმალურად უდანაკარგოდ უნდა გადარჩეს და მერე ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილიშვილები მაინც იხეირებენ! გავერთიანდეთ და ერთმანეთი გავიტანოთ, ქართველებო“!

ევროპა ბაიდენის თამაშს უფსკრულში ჩაჰყვა!

ევროპა პანიკაშია – უკრაინის ომის დასრულების მოლაპარაკებებში ჩართვას ითხოვდნენ, თუმცა ტრამპთან შეწინააღმდეგებას ვერ ბედავენ

ევროპა პანიკაშია – ევროპელი ლიდერები უკრაინის ომის დასრულების მოლაპარაკებებში საკუთარ ადგილს ითხოვენ. თუმცა, როგორც დასავლური მედია წერს, მათ ტრამპმა ადგილი მხოლოდ სათამაშო მაგიდასთან მიუჩინა. ევროპელები იხტიბარს არ იტეხენ და 17 თებერვალს პარიზის ელისეის სასახლეში, უკრაინის შესახებ ევროპელი ლიდერების არაფორმალური საგანგებო სამიტი ჩაატარეს. შეხვედრა 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა, თუმცა ევროპელი ლიდერები ვერაფერზე შეთანხმდნენ. ტრამპის თავბრუდამხვევი მოქმედებების ფონზე ევროპაში ძალიან დასცხათ და ამერიკის პრეზიდენტის დაშანტაჟებაც კი სცადეს. თუმცა ევროპაშიც აღმოჩნდნენ ლიდერები, რომელთათვისაც „ანტიტრამპისტულ“ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიუღებელი აღმოჩნდა.

შეხვედრაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, ესპანეთის, ნიდერლანდებისა და დანიის წარმომადგენლები მიიწვია, შეხვედრას ესწრებოდა ნატო-ს გენერალური მდივანიც.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ევროპელ ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ტრამპსა და ზელენსკის ესაუბრა და სამიტის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა.

ემანუელ მაკრონი წერს, რომ ომის დასრულებას უნდა ახლდეს ძლიერი და სანდო გარანტიები, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ ეს ცეცხლის შეწყვეტა მინსკის შეთანხმებების მსგავსად დასრულდეს.

„მუდმივ კონტაქტზე შევთანხმდით. უნდა უზრუნველვყოთ საიმედო და ხანგრძლივი მშვიდობა. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ უსაფრთხოების ძლიერი გარანტიების შედეგი“, – წერს **ვოლოდიმირ ზელენსკი.**

იტალიის პრემიერ-მინისტრმა **ჯორჯია მელონიმ** კი პარიზის საგანგებო სამიტი გააკრიტიკა და მას „ანტიტრამპისტული“ უწოდა.

მელონი სამიტზე ერთი საათის დაგვიანებით მივიდა და სამიტი ისე დატოვა, რომ სიტყვითაც არ გამოსულა.

გერმანიის კანცლერმა, **ოლაფ შოლცმა** კი განაცხადა, რომ ვიდრე ომი გრძელდება, ევროპული ჯარების უკრაინაში განლაგება განხილვის საგანი არ იქნება.

შოლცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპამ მომავალ გამოწვევებს თავდაჯერებულად უნდა უპასუხოს, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ „როგორ დავეხმაროთ უკრაინას ისე, რომ იგი მარტო არ დარჩეს“.

გერმანიის კანცლერის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ევროპამ ჩამოაყალიბოს განსაზღვრული პოზიცია უკრაინის მხარდაჭერის საკითხზე.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **კირ სტარმერმა** განაცხადა, რომ მზად არის, ბრიტანული ჯარები გაგზავნოს უკრაინაში, როგორც ომის შემდგომი სამშვიდობო ძალების ნაწილი.

„ჩვენ ვდგავართ თაობათა გამოწვევის წინაშე, როდესაც საქმე ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება. მე მგონია, ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანია. ეს არ ეხება მხოლოდ უკრაინის ფრონტის ხაზს. ეს არის ევროპისა და გაერთიანებული სამეფოს ფრონტის ხაზი. ეს ეხება ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას და ვფიქრობ, რომ ჩვენ მეტი უნდა გავაკეთოთ“, – აღნიშნა სტარმერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ესპანეთში კი განმარტავენ, რომ ამ ეტაპზე ნაადრევია უკრაინაში ჯარების განთავსებაზე საუბარი.

„დარწმუნებული ვარ, რომ პუტინი განაგრძობს უკრაინაზე თავდასხმასა და დაბომბვას. ამიტომ ამ მომენტში მშვიდობას ჰორიზონტზე ვერ ვხედავ“, – განუცხადა ადგილობრივ მედიას ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ხოსე მანუელ ალბარესმა**.

შვედეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, ჯერ ნაადრევია სამშვიდობო მისიაში მონაწილეობაზე საუბარი. მისი აზრით, ჯერ საჭიროა, მოლაპარაკებების პროცესი წინ წავიდეს.

„შვედეთი ჩვეულებრივ მონაწილეობს ჩვენი მსოფლიოს ნაწილში უსაფრთხოების გაძლიერებაზე, ასე რომ, ვვარაუდობ, ამჯერადაც ამის ნაწილი ვიქნებით“, – განუცხადა „როიტერს“ შვედეთის პრემიერ-მინისტრმა **ულფ კრისტერსონმა**.

დანიის პრემიერ-მინისტრი **მეტე ფრედერიქსენი** კი მიიჩნევს, რომ აუცილებელია უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაზრდა და დაჩქარება. მისი აზრით, უკრაინას უნდა მოეხსნას შეზღუდვები იარაღის გამოყენებაზე, რათა მან ეფექტურად შეძლოს თავის დაცვა.

* * *

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **თამარ ჩიბურდანიძე for.ge**-სთან ამბობს, რომ ევროპელები ვერაფერზე შეთანხმდებიან, რადგან მათზე არ არის დამოკიდებული ამ ომის დამთავრება, ისევე როგორც მისი დაწყება არავის უკითხავს მათთვის.

„ეს ომი არ იყო რუსეთ-უკრაინის ომი. ეს სინამდვილეში რუსეთ-ამერიკის ომი იყო. ტრამპმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამ ომის პროვოცირება ბაიდენის და მისი ადმინისტრაციის კისერზეა. მართალია, ომი რუსეთმა დაიწყო, მაგრამ მისი პროვოცირება ამერიკამ მოახდინა. უკრაინას ამერიკა დაჰპირდა, რომ ნატოს წევრი გახდებოდა, რასაც რუსეთი არასდროს დაუშვებდა. ბუნებრივია, რუსეთმა გადაწყვიტა საკუთარი უსაფრთხოების დაცვა. ევროპას არავინ არაფერს ეკითხება, რადგან ის არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი. ის მუდმივად ამერიკის პოლიტიკის გამტარებელი იყო და ყველაზე კარგად ეს ბაიდენის ადმინისტრაციის დროს გამოჩნდა. ევროპა ბაიდენის ყურმოჭრილი მონა და მისი გადაწყვეტილების უპირობა შემსრულებელი იყო. ევროპა ბაიდენის ომის პოლიტიკას გაჰყვა და „დიფ სთეიითის“ პოლიტიკამაც ყველაზე მეტად ფეხი ევროპაში მოიკიდა, რითაც ბაიდენის თამაშს უფსკრულში ჩაჰყვა. ამიტომაც ახლა ტრამპი მათ არაფერს აღარ შეეკითხება. ევროპელებმა არ გააღმერთეს ზელენსკი, რომლის კრიტიკა და ზედმეტი რამის თქმაც კი ღალატად ითვლებოდა?! საწყალი უკრაინელების სისხლის ფასად გამდიდრდა ზელენსკიც და მისი გარემოცვაც. ევროპა კი ყველაფერი ამის მონაწილეა და ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის“, – ამბობს ჩიბურუდანიძე.

მისივე თქმით, ევროპელებმა ძალიან კარგად იციან, რომ დამოუკიდებლები არასდროს ყოფილან და არც ახლა იქნებიან. რაც არ უნდა ძლიერები იყვნენ გერმანია და საფრანგეთი, რომლებიც ფინანსურად მთელ ევროპას მიათრევენ, ესენიც კი ამერიკის პოლიტიკაზე არიან დამოკიდებულები. ამიტომ ანალიტიკოსის აზრით, ეს შანტაჟის ენა მათ ტრამპთან არ გაუვათ.

„ამერიკამ ევროკავშირი თავისი ფულით შექმნა, რათა ევროპის კონტინენტზე ამერიკის პოლიტიკა გაეტარებინა. ამიტომ ევროკავშირის ლიდერების თამაში, რომ ჩვენ ახლა დამოუკიდებლები ვართ და ტრამპისთვის თითის ქნევა შეგვიძლია, შეცდომაა. მაკრონმა იმიტომ დაურეკა ტრამპს, რომ ვითომ რაღაცა შანტაჟს ცდილობენ, პირობებს უყენებენ და ა.შ. შეატყობინეს, რომ აი, ჩვენ ახლა ვიკრიბებით და იცოდე, არაფერი შეგეშალოსო. მერე შემოაგდეს თემა, რომ ვითომ უკრაინას 700 მილიონით ეხმარებიან და უკრაინის გვერდით იქნებიან. ეს ყველაფერი არის ტყუილი ბაქიბუქი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ევროპა, რომელიც მარტო დატოვა ტრამპმა, ყოველდღე შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ტრამპის შეშინება არის გამორიცხული. ის არის ამბიციური ლიდერი ინოვაციური პოლიტიკური იდეებით. მას აქვს ახალი მსოფლიოს გადანაწილების გეგმა და ამას მშვიდობიანად, ოღონდ აგრესიული პოლიტიკით გაატარებს. ამას კი წინ ჯერჯერობით ვერავინ ვერ აღუდგება. ტრამპმა გააჩერა ომი ისრაელში და ისე წაიღო ღაზას სექტორი, ვერც ერთი მხარე ხმას ვერ იღებს. ის ცდილობს უკრაინის ომის შეჩერებას და მისი მინერალური რესურსი ისე უნდა წაიღოს, აქაც ხმას ვერავინ ვერ სცემს“, – ამბობს ანალიტიკოსი.

ჩიბურდანიძე დარწმუნებულია, რომ ევროპა ტრამპის ამბიციურ გეგმებს ვერ შეაჩერებს, როცა მათი ლიბერალური პოლიტიკა უკვე მკვდარია და მსოფლიოში დასრულდა.

„ევროპა არათუ გადაარჩენს ლიბერალიზმს, არამედ ევროპას ეს პოლიტიკა შეიწირავს. სამწუხაროდ, არ გამოვრიცხავ, რომ ნატოში უკრაინის არგაწევრების შემდეგ, მისი ევროკავშირში არგაწევრების საკითხიც დღის წესრიგში დადგეს. ევროპას არაფერში აწყობს საზღვრების რუსეთთან მიახლოება. ამიტომ სჯობს, მათ საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქრონ, რომ საბოლოოდ ევროკავშირის არსებობა არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ“, – ამბობს ჩიბურდანიძე

ლიკა ბერიკაშვილი

კახა კალაძე: მძიმე იყო ის ყველაფერი, რის წინაშეც აღმოვჩნდით!

„ძალიან მძიმე იყო ის ყველაფერი, რის წინაშეც აღმოვჩნდით. ჩვენ გარკვეული დროის განმავლობაში გვიჭირდა ამაზე საუბარი, როდესაც, მაგალითად, პრემიერ-მინისტრს კაბინეტში ესაუბრებოდნენ უხეშად, პარტიის თავმჯდომარესთან ერთად და პირდაპირ იყო მცდელობა, ძალდატანებით, ხელების გადაგრეხვით ქვეყანაში გახსნილიყო მეორე ფრონტი“ - ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ ჟურნალისტებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.

– ჩვენ რომ დღეს ხელისუფლებაში ვართ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით ვართ და გვაქვს უდიდესი პასუხისმგებლობა და ამავდროულად, ვალდებულება, რომ გავატაროთ ჩვენი ქვეყნის ინტერესები. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვჭირდება მეგობრები, პარტნიორები. ეს მეგობრობაც წლების განმავლობაში შეფუთული იყო, იმიტომ, რომ ძირითადად, ხდებოდა მათი ინტერესების გატარება. როდესაც გეუბნებიან, კედელს დაეტაკეო, არ უნდა გადადგა ეს ნაბიჯი, რადგან იცი, რომ დაზიანდები. შესაბამისად, ჩვენ ყოველთვის დავიცავთ ჩვენს ქვეყანას და ხალხის ინტერესს, – განაცხადა კახა კალაძემ.

რადიკალიზმის ადგილი დღეს არც საქართველოში და არც მსოფლიოში არ არის. ეს ყველაფერი მალე დასრულდება.

ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ შეაფასებს საფრანგეთისა და გერმანიის ელჩების გორში გამართულ დისკუსიას, რომელიც რადიკალური ხასიათის ბანერების ფონზე გაიმართა, კახა კალაძის თქმით, ეს მძიმე ფაქტია და რადიკალიზმი ყოველთვის განწირული იქნება მარცხისთვის.

– ძალიან მძიმე ფაქტია. ეს ადამიანები ჯერ საარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართულნი. ისინი ახალისებენ ბოროტებას ქვეყანაში, საზოგადოების გახლეჩას, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ყველაფერი მთლიანად გადალაგდება. მსოფლიო იცვლება. რადიკალიზმის ადგილი დღეს არც საქართველოში და არც მსოფლიოში არ არის. ეს ყველაფერი მალე დასრულდება. რადიკალიზმი დამარცხდება. ზოგადად რადიკალიზმი ყოველთვის განწირული იქნება.

გაიხსენეთ გერმანიის ელჩი, რა კომენტარებს აკეთებდა, ჩვეულებრივი მავნებელია. ის საერთოდ გამოსულია მომსახურების ზონიდან. ვერ ხვდება და ვერ წარმოუდგენია, რა არის მისი ფუნქცია. როდესაც აშშ-დან განცხადებებს აკეთებენ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, ეს ევროპელ დიპლომატებს არ მოსწონთ და ამას შიდა პოლიტიკაში ჩარევას უწოდებენ.

ვაი ჩვენს ყოფას, ცდომილნო!

იზეიმეთ, ახალგაზრდებო, საზეიმოდ თუ გაქვთ საქმე!

კაცს საფიქრალს რა დაულევს, მით უფრო ტრაგედიაგადატანილ (ვერ გადატანილ!), ადამიანს, მაგრამ ეს ბოლო დღეებია განსაკუთრებით ვფიქრობ ჩემს სამშობლოზე, იმ მოვლენებზე, რაც აქ ხდება – მსოფლიოს დასანახავად საგანგებოდ ატეხილი, „პარგად“ დაგეგმილი, რევოლუციური ქარიშხლის გამოსაწვევად, მზაკვრულად მოფიქრებული, ხმაურიანი დემონსტრაციები. და ეს ყოველი , რაც არ უნდა თავი დავიმშვიდოთ, აშკარად არყევს ქვეყნის ეკონომიკას, წინსვლას, განვითარებას და არ დაგვავიწყდეს მთავარი – ანგრევს ხალხის ფსიქოლოგიას!

თუმცა, მთავარი მარტო ეს როდია, ბევრი რამ არის აქ მთავარი. რომ გვგონია, მხოლოდ შინაური მტერი ანუ ძალაუფლებაში მოსვლის სურვილით დამუხტული რადიკალური ოპოზიცია ცდილობს შეარყიოს ქვეყანა, ამ დროს ჩვენი პარტნიორი ქვეყნებიც უმაგრებენ, თურმე, მათ ზურგს. კარგა ხანია ხალხი ამას მიხვდა და თუ ადრე ქართველი ხალხის 80%-ს ევროკავშირში შესვლა სურდა, დღევანდელობით სულ სხვა სურათი იხატება. თავისი ტენდენციურობითა და საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში უხეში ჩარევით, ქვეყნის დამამცირებელი რეზოლუციებით, ევროკავშირმა ქართველთა დიდი ნაწილის თვალში ავტორიტეტი დაკარგა.

ვინ უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, ეს ქართველმა ხალხმა უკეთ იცის. ევროპელების რეზოლუციები მხოლოდ გაკვირვებასა და აღშფოთებას იწვევს მათში. სამწუხაროდ, ევროკავშირის წარმომადგენლები თავიანთი თავის დამცირებას კვლავაც განაგრძობენ და ხელს უწყობენ საქართველოს მოსახლეობის იმედგაცრუებას.

გარეშე მტერი, რომ მტრულ საქმეს აკეთებს, ეს არ არის გასაკვირი. გასაკვირია, თვით საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი რატომ ეჯაჯგურება, წიხლებს ურტყამს და ლამის დასამხობად იმეტებს ხალხის მიერ სისხლითა და ოფლით აშენებულ ქვეყანას, რატომ გვიხარებს გარეშე მტერს, რომელსაც ჩირად არ უღირს ჩვენი სამშობლო.

რადიკალებმა თავდაპირველადვე, ოპოზიციის გასაკეთებელი საქმე უცნაურად დაიწყეს. მაოცებს და ვერაფრით ვერ ამიხსნია, რა მიზეზით და საიდან გაჩნდა ჩვენი ხალხის ნაწილში ეს გამოთქმა, სახელდება თუ რაც გინდათ ის დაარქვით – „რუსო“, ამ სიტყვის მარჯვე ხმარებით, ახლაც გამოირჩევიან რადიკალები, ნაციონალები. თავდაპირველად ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა... ალბათ, ჩემი გულუბრყვილობით, თორემ რა ძნელი მისახვედრია, ამით ერთგვარ ხარკს რომ უხდიდნენ ამერიკა-ევროპას! მათი რუსეთთან დაპირისპირების მიზეზს დიდი ისტორია აქვს. ერთი სიტყვით, იმთავითვე მოიწადინეს ჩვენი უცხოელი პარტნიორების მოხიბვლა, თავის მხარეზე გადმობირება. პარტია ოცნებას „რუსულ ოცნებას“ ეძახიან და არა მარტო მათ გასაღიზიანებლად, არამედ იმათაც რუსებს ეძახიან, ვისაც მთავრობის მიერ გაკეთებული რომელიმე საქმე მოეწონება. ნებისმიერ ქართველ კაცს, რუსეთისაგან უკვე კარგა ხანია მოწყვეტილს, ნებისმიერი პროფესიისას „რუსი“ რატომ უნდა დაუძახო (ინფანტილიზმი აწუხებს საცოდავებს!)? ეს საგანგებო თემაა და შეიძლება დიდი მონოგრაფიაც გამოგვივიდეს.

დიდი ბიზანტიიდან მოყოლებული მეზობელ ძლიერ სახელმწიფოებს ჩვენს დასაპყრობად ძალღონე არ დაუშურებიათ, ბევრჯერ მათგან მონობასა და ტყვეობაშიც კი ვიყავით, რა გზა გამოიარა ამ პატარა საქართველომ, რომელიც ერთ დროს დიდიც კი ყოფილა, მაგრამ რამდენი მიწა, ლამაზი კუთხე ჩამოგვაჭრეს, წაგვართვეს... რუსეთმაც არ დაგვაკლო ხელი, რა ვქნათ. ასეთი ბედი გვქონია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის წინამძღოლები, მეფეები გამჭრიახობას იჩენდნენ, პოლიტიკაც იცოდნენ და დიპლომატიაც. დამპყრობელთან ხერხსაც ხმარობდნენ და ღონესაც. ისიც იცოდნენ, სად, როდის, რა უნდა ეკეთებინათ, ლანძღვა -გინებით და ოკუპანტის ძახილით სამშობლოს ვერ უშველიდნენ. ხარკსაც კი უხდიდნენ დამპყრობელს... ახლა კი რა დაგვემართა, ხარკი რა მოსატანია და დამუნჯებულები, რომ ვართ, ვერავითარ დიპლომატიას რომ ვერ ვახორციელებთ, რა გვგონია, რუსეთი დაგვიძახებს, მოდით, წაიღეთ თქვენი აფხაზეთი და სამაჩაბლოო. ასე გვგონია?

ძვირფასო მკითხველო, ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, ოპოზიცია ამ საკითხში მაინც ეხმარებოდეს ქვეყანას. მესმის, რომ აი, სწორედ ამ მიმართულებით უწუნებდეს ის ჩვენს ამჟამინდელ მთავრობას პოლიტიკას და ერთობლივი მუშაობისკენ მოუწოდებდეს. ნეტავ აგვიხსნან, კიდევ რამდენი წელი უნდა გავიდეს ამ უაზრო აურზაურში? რატომ ჰგონიათ, რომ ევროპელი პარტნიორები თუ ჩამოგვაშორეს, ამით კარგი საქმე გაგვიკეთეს? განა ხალხმა არ იცის, როგორ გაგვიჭრა ევროპისკენ გზა „ქართულმა ოცნებამ,“ რამდენი შრომა გაწიეს, როგორ მონდომებულები იყვნენ... როცა „ოცნებას“ და მის მთავრობას საქართველო ევროპისკენ მიჰყავდა, ამიხსენით, სწორედ მაშინ, რას აკეთებდა ოპოზიცია? აკეთებდა იმას, რასაც მხოლოდ ვერაგი მტერი გაუკეთებს ქვეყანას. მალულად დაწანწალებდნენ ევროკავშირის მაღალი ჩინოსნების კაბინეტებში, არწმუნებდნენ... იცით, რაში? საქართველოს მთავრობას ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავსო. ისინიც იჯერებდნენ, ალბათ, ასე უნდოდათ, თორემ რა ძნელი დასანახავი იყო ევროპის გზაზე მიმავალი საქართველოს წინსვლა. ახლა სამარცხვინო სანქციებს უწესებენ სწორედ იმ ხალხს, ვინაც სატვირთავი იტვირთა. პარლამენტისა და მთავრობის თითოეულ წევრთა ვერც მსაჯულად და ვერც ადვოკატად ვერ გამოვდგები. მე მთლიანობაში ვხედავ რომ საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას ნამდვილად წინ, მშვიდობიანი გზით მიჰყავს ქვეყანა. და თუ რამ ეშლებათ ან შეეშლებათ, დაე, ქართულმა სამართალმა მოიკითხოს და განიკითხოს და არა უცხო ქვეყნის, ჩვენთვის სრულიად უავტორიტეტო ჩინოვნიკებმა.

დღეს კი, ძალიან სავალალო მდგომარეობა გვაქვს. ჩვენმა მტრებმა, რადიკალებმა და მათზე აყოლილებმა ქვეყანა გადააგდეს უფსკრულებით დახუნძლულ გზაზე, ცივილიზებულ სამყაროსაგან თითქმის იზოლაციაში, ხალხი გაგვაწამეს, თავად კი არასამთავრობოებისა თუ სხვათა არალეგარულად მოპოვებული თანხით ყოველ საღამოს აზეიმებენ და მასკარადებს აწყობინებენ ახალგაზრდებს.. ვაი ჩვენს ყოფას, ახალგაზრდებო, ძვირფასებო და ცდომილნო!... სამართლიან არჩევნებს რომ გაყალბებულს ეძახით, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაგაგონეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მთავრობის დამხობა უნდა ვიღაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. იზეიმეთ ძვირფასებო, საზეიმოდ თუ გაქვთ საქმე!

გულნარა სტურუა

რატომ ვართ ასეთ გაურკვევლობაში?!

ვგულისხმობ ჩვენს პოლიტიკურ ვითარებაში გამეფებულ ბუნდოვანებას, გაურკვევლობას – ერთი მხრივ, გამოწვეულს გარეშე ფაქტორებით, მეორე მხრივ კი შინაგანი თავგზააბნეულობით და დაბნეულობით. თუმცა ორივე ეს ფაქტორი – გარეშე და შინაგანი, ერთი მეორეში გადადის და ერთმანეთს განაპირობებს.

რა თქმა უნდა, ზნეობრივად ჯანსაღ საქართველოსთან ერთად მეც გავიხარე, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და მილიარდერმა ილონ მასკმა ე. წ. „დიფ სთეითის“ („ღრმა სახელმწიფო“) ბნელ საქმიანობას და მოღვაწეობას პირველი დარტყმა მიაყენეს, რითაც დოლარების მიდინება შეუწყდათ სულით და ხორცით გახრწნილ საზოგადოებებსა და გაერთიანებებს (ჩვენთანაც!). ასევე გამახარა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, ვენსის, ისტორიულმა გამოსვლამ მიუნხენის კონფერენციაზე, სადაც იგი პირდაპირ დაუპირისპირდა ჩვენს „დიდ მეგობრებს“, ევროპულ ლიბერასტურ ხელისუფლებებსა და ზელენსკის, და მათში ისტერიკები გამოიწვია. ამ მოვლენებმა დიდი ხნის წინათ გულში ჩახვეული წყენა აშშ-ის მიმართ (განპირობებული ჯერ კიდევ შევარდნაძისა და განსაკუთრებით სააკაშვილის ამერიკის მიმართ ქვემძრომობით და, კრიტიკულ მომენტში, საქართველოს ამერიკისგან ბედის ანაბრად მიტოვებით) გამინელა. კვლავ თვალწინ დამიდგნენ დიდი ამერიკელი პოეტები და მწერლები, კვლავ გაცოცხლდა ჩემს მეხსიერებაში რომანტიკული ამერიკული ფილმები, დაუვიწყარი მელოდიით – „როზმარი“, რომელიც თითქოს სათავგადასავლოდ გიწვევს და ხელში „კოლტს“ აგაღებინებს...

ამერიკის პრეზიდენტის ძალისხმევა, როგორც ჩანს, ევროპისთვისაც სიკეთის მომტანი იქნება – ვგულისხმობ ტრადიციულ ფასეულობებზე, ქრისტიანობაზე მიმართული მემარჯვენე პარტიების გაძლიერებას. დასანანი იქნება, რომ ევროპა ისეთივე არ გახდეს, როგორზეც ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟიულ მიშლე წერდა: **„ცრემლი, ერთი, ერთადერთი ცრემლი, დაცემული გოთიკური ტაძრის იატაკზე, ღირსი არის მოხსენიებისა“.**

როდესაც ამერიკის ახალი ხელმძღვანელობა ევროპის ზნეობრივად ჯანმრთელ ძალებს ყველანაირად მხარს უჭერს, იგი საქართველოზე დუმილს განაგრძობს. რა არის ამ დუმილის მიზეზი? ნუთუ მხოლოდ ის, რომ საქართველო თავისი სიმცირის გამო მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია იმ პრობლემებთან შედარებით, რასაც მისთვის წარმოადგენს რუსეთ-უკრაინის ომი, ჩინეთთან ურთიერთობები და ახლო აღმოსავლეთი?

ვფიქრობ, აშშ-ის ეს დუმილი გამოწვეულია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგობრივი პოლიტიკით: ერთი მხრივ, გამოცხადებულია და კონსტიტუციაშიც გვიწერია, რომ ევროკავშირში და ნატოში შესვლას ვივალდებულებთ, და რომ ჩვენი გეზი უცვლელია, რომ უკრაინა ჩვენი „მეგობარია“ და ა. შ. მეორე მხრივ, ქვეყნის პრემიერი მეგობრულ ვიზიტებს განაგრძობს ირანში, მეგობრობს ჩინეთთან (ე. ი. რბილად თუ ვიტყვით, ამერიკისთვის არასასურველ ქვეყნებთან), რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინაზე, რომლის „მეგობრობა“ იმით ამოიწურება, რომ გვიბიძგებს რუსეთთან ომისკენ, ფარულად აგზავნის ბედოვლათ სააკაშვილს საქართველოში გადატრიალების მოსახდენად, რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის მხარეს მებრძოლი სააკაშვილისტები გამუდმებით იმუქრებიან საქართველოში შემოჭრით, ხოლო საქართველო მათგან დაღუპულებს პატივით იმარებს, დროშების ფრიალით და სხვ. და ა.შ. ასეთი პოლიტიკა დამღუპველია.

თუ ამერიკის დუმილი ჩვენს მიმართ გაგრძელდება და პირიქით, დაეხმარებიან საქართველოს დამშლელ და ზნეობრივად გახრწნილ ოპოზიციას, მაშინ უბედურ საქართველოს სხვა არაფერი დარჩება, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდეს თავისი ტრაგიკული გმირის, მეფე ერეკლეს პოლიტიკურ ორიენტაციას. მტკიცე იყო მეფის გადაწყვეტილება – მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა.

დღესაც იმავე არჩევანის წინაშე ვდგავართ. რაც შეეხებათ აფხაზებსა და ოსებს, ჩემი მხრიდან დავამატებდი: მათ შესარიგებლად არავითარი ბოდიშის მოხდა არ გაჭრის, თუ რუსეთი არ ჩაერევა.

ვიქტორ რცხილაძე

როცა უნდობლობის საზღაური მომაკვდავ პაციენტთა სიცოცხლეა

– ტრანსპლანტოლოგია თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მაგისტრალური ქირურგიული მიმართულებაა, რომლის უმიშვნელოვანესი სფერო უროლოგიაში თირკმლის გადანერგვაა. ბატონო არჩილ, ესაა თქვენი პროფესიული საქმიანობის გამორჩეული სეგმენტი, რომელშიც 25 წელია წარმატებით მოღვაწეობთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრანსპლანტოლოგიას ხანგრძლივი და მეტად საინტერესო ისტორია აქვს. თუ შეიძლება მოკლედ რომ მიმოვიხილოთ ამ დარგის განვითარების გზა?

– ტრანსპლანტოლოგიას მართლაც მეტად საინტერესო, დრამატიზმითა და ზოგჯერ ტრაგიკული მოვლენებითაც აღსავსე ისტორია აქვს. პირველი ინფორმაცია გადანერგვის შესახებ განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 800 წელს, როდესაც ინდოელმა ქირურგმა სახელად სუსრატამ, ცხვირის პლასტიკა აწარმოა სხეულის სხვა უბნიდან აღებული კანით. შემდეგი შეტყობინება უკვე ბიზლიურ პერიოდს განეკუთვნება. კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 15 წელს, იერუსალიმში, პეტრე მოციქულმა, ახალგაზრდა ქალს სახელად აგატა, რომაელი ჯარისკაცების მიერ მოკვეთილი მკერდი აღუდგინა. ამის შემდეგ მოიპოვება მრავალი ინფორმაცია ისტორიული წყაროებიდან სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილის, მათ შორის კანის, ძვლის, სახსრისა და ა. შ., ტრანსპლანტაციის შესახებ.

სხვათა შორის, მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ თირკმლის პირველი ტრანსპლანტაცია ადამიანიდან ადამიანზე ჩატარდა 1933 წელს, ქ. ხერსონში, მაშინდელ უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, რომელიც ქირურგმა იური ვორონოიმ შეასრულა. პაციენტი 26 წლის ქალი იყო, რომელმაც თავის მოსაკლავად ვერცხლისწყალი დალია, რის შედეგად თირკმლები დაუზიანდა. ქირურგმა მას ექვსი საათის გარდაცვლილი გვამიდან აღებული თირკმელი გადაუნერგა. თირკმელი გამოყოფდა შარდს წვეთ-წვეთად, პაციენტი კი გარდაიცვალა ორ დღეში. ეს პირველი მცდელობა, რაღა თქმა უნდა, გმირობის ტოლფასი, თუმცა კი წარუმატებლობისთვის განწირული ცდა იყო, რისი ძირითადი მიზეზი ადამიანის იმუნური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი მექანიზმების არცოდნა გახლდათ.

საქმე ისაა, რომ ყოველი ადამიანის იმუნური სისტემა, მისი ორგანიზმის ფარი და მცველია როგორც მიკროორგანიზმებისაგან (ბაქტერიებისგან, ვირუსებისგან და ა. შ.), ისე ნებისმიერი უცხო ორგანოსა და ქსოვილისაგან. სხვა ორგანიზმიდან ჩანერგილ ორგანოს ჩვენი იმუნური სისტემა აღიქვამს მისი დაცვის ქვეშ მყოფ „ტერიტორიაზე“ უცხო ძალის შემოჭრად და დაუყოვნებლივ იწყებს მის „განადგურებას“, რაც, საბოლოოდ, გადანერგილი ორგანოს დაზიანებით მთავრდება. ეს აღმოჩენა 1950-იან წლებში გააკეთა დიდი ბრიტანეთის მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც თანამედროვე იმუნოლოგიის ფუძემდებელი პიტერ მედავარი ხელმძღვანელობდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ აღმოჩენისთვის, პიტერ მედავარს ნობელის პრემია მიენიჭა.

მანამდე კი იყო მრავალი მცდელობა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესრულებისა, თუმცა, ყველა უშედეგოდ დამთავრდა. გარღვევა მოულოდნელად, მაგრამ მაინც მოხდა 1954 წელს ქ. ბოსტონის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც ქირურგმა ჯოსეფ მიურეიმ პირველი წარმატებული თირკმლის ტრანსპლანტაცია შეასრულა. ჯოსეფ მიურეის მანამდეც ჰქონდა თირკმლის გადანერგვის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობა, რის მიზეზებსაც, ზემოთ ახსნილი გარემოებების გამო, ვერ ხვდებოდა. თუმცა იგი, როგორც ყველა გენიალური მეცნიერი, ხვდებოდა, რომ არსებობს რაღაც გარიერი, რომელიც ხელს უშლის გადანერგილ თირკმელს „შეეზარდოს“ პაციენტის ორგანიზმს და განაგრძოს ფუნქციონირება. მან არ იცოდა, თუ რა იყო ეს გარიერი და როგორ უნდა დაეძლია იგი, მაგრამ ინტუიციით ხვდებოდა, რომ იგი ადამიანების გარეგნულ სხვაობასთან იყო კავშირში. მას დაებადა გენიალური იდეა: რა იქნება, თუ ადამიანს გადავუნერგავ თირკმელს მისი ტყუპისცალისგან, ისინი ხომ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, იქნებ, ამ გზით „მოვატყუო“ ორგანიზმი და გვერდი ავუარო ამ გარიერს? მართლაც, პირველი წარმატებული თირკმლის ტრანსპლანტაცია შესრულდა იდენტურ ტყუპ ძმებს შორის. გადანერგილმა თირკმელმა იფუნქციონირა რვა წელი. პაციენტმა იცოცხლა 25 წელი, ხოლო დონორმა 79 წელს(!) მიაღწია და გარდაიცვალა 2010 წელს. ეს ნამდვილი გარღვევა იყო, რამაც საფუძველი ჩაუყარა მედიცინის ახალ დარგს, ჯოსეფ მიურეის კი ნობელის პრემია მიენიჭა.

იმუნოლოგიური მექანიზმების აღმოჩენის შემდეგ, ტრანსპლანტოლოგიის პროგრესი ვულკანის ამოფრქვევას დაემსგავსა და ერთმანეთს მიჰყვა სხვადასხვა ორგანოების წარმატებული გადანერგვის ოპერაციები, კერძოდ:

- **1962 წ. – ჯოსეფ მიურეის ჯგუფმა შეასრულა პირველი თირკმლის ტრანსპლანტაცია გარდაცვლილი დონორიდან. ორგანომ იფუნქციონირა 21 თვე;**
- **1963 წ. – მისისიპის უნივერსიტეტი, ფილტვის პირველი წარმატებული ტრანსპლანტაცია ჯეიმს ჰარდის მიერ;**
- **1966 წ. – მინესოტას უნივერსიტეტი, პირველი წარმატებული პანკრეასის ტრანპლანტაცია;**
- **1967 წ. – კოლორადოს უნივერსიტეტი, ღვიძლის პირველი წარმატებული ტრანსპლანტაცია თომას სტარცლის მიერ;**
- **1967 წ. – კეიეტაუნი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, გულის პირველი ტრანსპლანტაცია კრისტიან ბერნარდის მიერ. გულმა იმუშავა 18 დღე.**

სხვათა შორის, ხშირად ფიქრობენ, რომ გულის ტრანპლანტაცია კრისტიან ბერნარდის მიერ, ამ დარგის დასაბამია. არადა, ფაქტები მოწმობენ, როდესაც გული პირველად გადაინერგა, უკვე გადანერგილი იყო: თირკმელი – როგორც ცოცხალი, ისე გარდაცვლილი დონორიდან, ღვიძლი – როგორც ცოცხალი, ისე გარდაცვლილი დონორიდან, ასევე ფილტვი და პანკრეასი.

ამდენად, გულის გადანერგვა ტრანსპლანტოლოგიის არა დასაბამი, არამედ მისი, როგორც მედიცინის ცალკე დარგის ჩამოყალიბების დასასრული და გარკვეულწილად გვირგვინია! ეს დარგი განუწყვეტლივ განაგრძობს პროგრესს და დღეს ოცამდე სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილის ტრანსპლანტაცია წარმოებს.

– ბატონო არჩილ, მართლაც ძალიან საინტერესო ისტორია ჰქონია ტრანსპლანტოლოგიას. იქნებ ისიც გვიამბოთ, თუ როგორ ვითარდებოდა ეს დარგი საქართველოში და რა მდგომარეობაა დღესდღეობით ამ უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებაში?

– ტრანსპლანტოლოგიას, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოშიც მეტად საინტერესო ისტორია აქვს. ბევრმა შესაძლოა არ იცის, რომ საქართველოში თირკმლის პირველი ტრანსპლანტაციის ოპერაციები 1976 წელს შესრულდა მაშინდელ ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ეს იყო გარდაცვლილი დონორებიდან აღებული თირკმლები, რომლებიც რუსეთიდან ჩამოიტანეს იქაურმა ქირურგებმა. ოპერაციები შესრულდა ქართველი და რუსი ქირურგების ერთობლივი ჯგუფის მიერ, რომელსაც საქართველოს მხრიდან პროფესორი ლაურ მანაგაძე ხელმძღვანელობდა.

ამის შემდეგ, 1995 წლამდე იყო ხანგრძლივი პაუზა, როდესაც, მაშინდელ უროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, კვლავ ლაურ მანაგაძის ხელმძღვანელობით, დაიწყო თირკმლების ტრანსპლანტაციის მეორე ეტაპი, ამჯერად უკვე ცოცხალი დონორებისგან აღებული ორგანოებით. ოპერაციები შესრულდა ფრანგი და ქართველი ქირურგების ერთობლივი ჯგუფის მიერ. მის ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული აწ გარდაცვლილი ქირურგი ელგუჯა ღონღაძე, რომელიც იმხანად სტაჟირებაზე იმყოფებოდა ნანტის საუნივერსიტეტო კლინიკაში. თქვენი მონა-მორჩილი ასევე მონაწილეობდა ამ ოპერაციებში როგორც ახალგაზრდა, დამწყები ექიმი.

მას შემდეგ ეს ოპერაციები ეპიზოდურად და მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ ეს არ იყო ის, რაც ქართველ პაციენტებს ესაჭიროებოდათ. 1999 წელს, უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა, პროფესორმა ლაურ მანაგაძემ დამიძახა და მითხრა, რომ ჩაფიქრებული ჰქონდა დაწესებულებაში თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამის ჩამოყალიბება და რომ ამ მიზნით უნდა წავსულიყავი სტაჟირებაზე თელ-ავივის უნივერსიტეტის ყველაზე დიდ ტრანსპლანტოლოგიურ ცენტრში. ასე აღმოვჩნდი ისრაელში და დაიწყო ჩემი საზღვარგარეთ მოღვაწეობა, რომელმაც ხუთი წელს გასტანა, რა დროსაც მუშაობა მომიწია ჯერ ისრაელის, შემდეგ იტალიისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში. შემდეგ დავბრუნდი საქართველოში და დავიწყეთ თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციების პროგრამულად წარმოება უროლოგიის ცენტრში. წლების განმავლობაში, ჩვენი დაწესებულება ერთადერთი იყო ქვეყანაში, სადაც წარმატებით ტარდებოდა თირკმლის ტრანსპლანტაცია. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ამჟამად თირკმლის, ღვიძლის, ძვლის ტვინისა და რქოვანა გარსის ტრანსპლანტაციის პროგრამები საქართველოს რვა სამედიცინო დაწესებულებაში არსებობს.

– საინტერესოა, ვის და რატომ შეიძლება დასჭირდეს თირკმლის ტრანსპლანტაცია და ვინ შეიძლება მისცეს მას თირკმელი?

– **თირკმლის ტრანსპლანტაცია ესაჭიროება პაციენტს, რომლის ორივე თირკმელი შეუქცევადად არის დაზიანებული და ვერ უზრუნველყოფს თავის ფუნქციას. როგორც მოგეხსენებათ, თირკმლები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოა, რომლის გარეშე ადამიანი ვერ იცოცხლებს, ამიტომ აუცილებელი ხდება მისი რაიმე გზით ჩანაცვლება. თირკმლების დაზიანების ბევრი სხვადასხვა მიზეზი არსებობს, მაგალითად: შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია, კენჯები, თანდაყოლილი ანომალიები, მემკვიდრეობითი დაავადებები, და სხვა. ხშირად მოდიან**

გაგრძელება მე-9 გვ.



1954 წელს ქ. ბოსტონის ერთ-ერთ კლინიკაში ქირურგმა ჯოსეფ მიურეიმ პირველი წარმატებული თირკმლის ტრანსპლანტაცია შეასრულა.

აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

იყავი ცხოვრებაში ისეთი, როგორიცა ხარ. ნუ ეცდები ხალხის შეცდომაში შეყვანას. ბუნებრიობას არაფერი სჯობს. შელამაზებული არც გარეგნობა ვარგა და არც შენი ხელოვნური სულიერი თვისებანი – თუ გიხარია, გაიხარე; თუ გწყინს, ნუ ეცდები დაფარვას. შენს განცდებს ნუ შეუფარდებ სხვის სურვილს.

მიხეილ ჟიაურელი, აკაკი ხორავა და ალექსანდრე (ალე) ომიაძე ფილმ „გიორგი სააკაძის“ გადაღებისას

რუსთაველის თეატრი იხდიდა თავისი არსებობის 15 წლისთავს. ყველას გვიხაროდა. იუბილემდე რამდენიმე დღის წინ თეატრში ხმა მოვიდა, რომ მთავრობას გადაუწყვეტია, ახმეტელს, ვასაძესა და მე მოგვანიჭოს სახალხო არტისტის წოდება, ხოლო დასს მისცეს ერთი თვის ხელფასი პრემიის სახით. ბევრი მსახიობი განაწყენებული იყო, რომ მათ წოდება არ ენიჭებოდათ და ერთი თვის ხელფასის ოდენობით პრემიაც ეცოტავებოდათ.

შუადღეს ახმეტელმა მოიწვია თეატრის შემოქმედებითი აქტივის კრება თავის კაბინეტში. მიზანი კრებისა იყო, გამოგვეთქვა ჩვენი აზრი მთავრობის მიერ ჩვენი მუშაობის ასეთი შეფასებისა გამო. ყველაზე მეტ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ახმეტელის ცოლი — წულუკიძე, ვერ დაწყნარებულიყო, რომ ახმეტელს, ვასაძესა და მე ერთნაირად გვანიჭებდნენ წოდებას. ახმეტელიც უკმაყოფილო იყო და თუმცა კრებაზე არა უთქვამს რა წოდებაზე, მაგრამ ამბობდა, რომ თეატრს არ აფასებენ, ყურადღებას არ აქცევენ. რომ თეატრის მუშაობას არად აგდებენ. წულუკიძე უმატებდა საშას სიტყვებს, რომ ასეთი დამოკიდებულებისა გამო არ ღირს თეატრში მუშაობა (მას აწუხებდა ის გარემოება, რომ სახალხო არტისტის წოდებას არ ღებულობდა!). საშას მიერ მოწვეულ კრებას ესწრებოდნენ (ვინც მაგონდება) თავად ახმეტელი, ვასაძე, გიორგი დავითაშვილი, წულუკიძე, ირაკლი გამრეკელი, აღსაბაძე, პატარიძე, ივ. ლაღიძე, ივ. აბაშიძე, ელ. ლორთქიფანიძე, დიმ. მჟავია, მე და კიდევ ზოგიერთები. საშამ შემოიტანა წინადადება, რომ ერთი თვის ხელფასი არ აგვეღო და მთელი თანხა შეგვეტანა დაღუპული დირიჟაბლის მაგიერი ახალი დირიჟაბლის გასაკეთებლად (იმხანად დაიღუპა საბჭოთა დიდი დირიჟაბლი, ხალხი ფულს აგროვებდა ახლის გასაკეთებლად). ყველა დამსწრე გამოთქვამდა აზრს, მუშაობას თავი დავანებოთ მთავრობის მიერ თეატრის მუშაობის ასე მცირედ შეფასებისა გამო პროტესტის ნიშნად საპრემიო ფული შევიტანოთ დირიჟაბლის ასაშენებლადო.

აღელვება დიდი იყო. წულუკიძე ამბობდა, რომ „თეატრს ჰყავს ხელმძღვანელად ისეთი რეჟისორი, როგორიც ახმეტელია, და მისი ნიჭის ასე მცირე დაფასება შეურაცხყოფაა“, საშა, შენი არ ესმით, არც გაფასებენ. შენ დაგაფასებენ მხოლოდ საზღვარგარეთ. იქ უნდა წახვიდე და სხვა ამგვარი.

სათითაოდ ყველა დამსწრემ გამოთქვა აზრი შექმნილი მდგომარეობისა გამო და ყველანი ეთანხმებოდნენ წულუკიძეს, რომ უნდა დავანებოთ თეატრს თავი და ფული შევიტანოთ დირიჟაბლის ასაშენებლად. ბოლოს რიგი ჩემზე მოვიდა. მე ასეთი აზრი გამოვთქვი: — ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დავდექით. სრული შეგნებითა და გულწრფელად, საჯაროდ განვაცხადეთ, რომ ვიმუშავებთ საბჭოთა ხელისუფლებასთან, გამარჯვებულ მშრომელებთან. საბჭოთა თეატრის შექმნისათვის არ დავიშურებთ ჩვენს ძალღონეს და ნიჭიერებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გვერდში ამოვუდგებით ახალი ცხოვრების შესაქმნელად და სხვ. მართლაც ვმუშაობდით დაუზარლად, მთელის ენერგიით. მთავრობა გვეხმარებოდა მუშაობაში და დღეს, იუბილეს წინ, დაგვავიწყდა ჩვენი პირობა, ჩვენი განცხადებები, მთავრობის წინაშე ჩვენი ვალდებულებანი და რაღაც პრემიის სიმციირის გამო ვაპირებთ, თავი დავანებოთ თეატრს, პირადი ინტერესები უფრო მაღლა დავაყენოთ, ვიდრე საზოგადოებრივი ვალდებულებანი, ვუღალატოთ ჩვენს სიტყვას, საქმეს. პრემიის სიმციირის გამო ვუღალატოთ პარტიას, ხალხს — რა სინდისით? მე არ ვეთანხმები ამხანაგების აზრს. მუშაობა უნდა განვაგრძოთ ისევე დაძაბულად, როგორც დღემდე, რადგან საქმე გვაქვს ჩვენს მიერ მიცემულ სიტყვასთან, ხალხისა და მთავრობის წინაშე დადებულ პირობასთან და სხვა ასეთი.

ჩემი გამოსვლის შემდეგ კრება დაიხურა. ეტყობა, ჩემი სიტყვა არ მოეწონათ. ვთქვი ის, რასაც ვგრძნობდი და რასაც ვფიქრობდი, რაც მწამდა.

ზუსტად მეორე დღეს, შუადღისას, ჩემთან სახლში მანქანით მოვიდა ბერიას მცველი და მითხრა, რომ ბერია მიბარებდა ცენტრალურ კომიტეტში, მეც, გახარებული, რომ, ალბათ, იუბილეს გამო ვიყავი დაბარებული — წავედი. ცეკაში რომ მივედი ბერიას კაბინეტში, იქ დამხვდა ყველა ის, ვინც გუშინ ახმეტელის კაბინეტში კრებაზე იყო. მთავრობიდან იყო ბერია და მგალობლიშვილი (მთავრობის თავმჯდომარე). ბერია წამოდგა და დაიწყო ლაპარაკი. ხელში დაბეჭდილი ქაღალდები ეჭირა (პაპიროსის ქაღალდი). დაიწყო ასე: (რუსულად) ჩვენ დიდად ვაფასებთ რუსთაველის თეატრის მუშაობას. ჩვენი სახელმწიფო ახალგაზრდაა. ჩვენს წინაშე დიდი ეკონომიკური ამოცანაა. ფული, ძირითადში მიდის მრეწველობაში, საერთოდ, მეურნეობისათვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ გიწევდით დახმარებას ორგანიზაციულად და ფინანსურადაც. ამჟამად ჩვენ მეტი ფული არა გვაქვს, როცა გავმდიდრდებით — მეტს გადაგიხდით, დაგაჯილდოებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ გაგვიგებთ, ჩვენი მცირედი დახმარება (შეფასება) შეგასხამთ ფრთებს მუშაობისათვის ახალი ლიტერატურის, თეატრის შესაქმნელად. ჩვენ გვგონია, რომ გაგებით მოეკიდებით ყოველივეს. გაინაწილებთ — სიხარულსაც და არასასიამოვნოსაც. თქვენ კი აპირებთ სამსახურის მიტოვებას, „პროტესტუიტე“. გინდათ, პრემიალური შეიტანოთ ახალი დირიჟაბლის მშენებლობის ფონდში. დირიჟაბლს ჩვენ თქვენი პრემიის გარეშე ავაშენებთ და გავიგებთ, რატომაც შეგაქვთ პრემია ფონდში. თუ თქვენ პარტიასთან მეგობრობა არა გსურთ, თქვენი ნებაა, მაგრამ ჯერჯერობით თქვენ მუშაობთ, აკეთებთ იმას, რაც ჩვენ თეატრისაგან გვჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ დამკვეთები ვართ, თქვენ კი შემსრულებლები — ამისთვის გიხდით ხელფასს... და სხვ.

გაგრძელება
დასაწყისი იხ. „სრ“ №24

რუსთაველის თეატრის დასი. 1923 წელი. ცენტრში ქოხე მარჯანიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა

„დატყვევებული“ მემუარები



სანდრო ახმეტელი და თამარ წულუკიძე

წულუკიძე ამბობდა, რომ „თეატრს ჰყავს ხელმძღვანელად ისეთი რეჟისორი, როგორიც ახმეტელია, და მისი ნიჭის ასე მცირე დაფასება შეურაცხყოფაა“, საშა, შენი არ ესმით, არც გაფასებენ. შენ დაგაფასებენ მხოლოდ საზღვარგარეთ. იქ უნდა წახვიდე და სხვა ამგვარი!

ლაპარაკის დროს ქაღალდის ფურცლებს ათვალიერებდა და ახმეტელთან შეკრებისას ყველა გამომსვლელის ნათქვამს პასუხს სცემდა და ჯიქურ უყურებდა მას. ეტყობა, იმ ფურცლებში იყო დაწვრილებით გადმოცემული, რაც ითქვა და რაც ხდებოდა კრებაზე. ყველას ხაზგასმით მოაგონა ის, რაც კი სთქვეს კრებაზე. ყველა ჩუმად იყო. არავის არაფერი უთქვამს. ბოლოს მე მომმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენც ამბობდით რაღაცას იქ“. მე ვუპასუხე, რომ ვილაპარაკე და აქაც შემიძლია გავიმეორო ნათქვამი. „ილაპარაკეთ“, — მითხრა ბერიამ. მე ვთქვი ის, რაც კრებაზე განვაცხადე. არანაირი გარემოებების გამო ტყუილი არ შემიძლია. აქ კი გუშინდელი ყოველი ნათქვამი ვიღაცის მიერ დაწვრილებით მოხსენდა მას, სისულელე იქნებოდა რაიმეს დაფარვა. ყოველივეს განმეორების შემდეგ, რაც კრებაზე ვთქვი, დავამატე: მე მინდა თეატრიდან წასვლა არა იმის გამო, რომ ცოტა მივიღე პრემიალური, არამედ იმისათვის, რომ ჩემს ჯანმრთელობას აღარ შეუძლია გაუძლოს ასეთ მშიერ არსებობას. მთელი თეატრი შიმშილმა მოიცვა. დღეში ერთხელ ვჭამთ ნახევარ თეფშ ლობიოს თეატრის ბუფეტში. ეს არის და ეს. ორგანიზმი ვერ გაუძლებს. ოდესღაც ფიზკულტურელი ვიყავი. ჯანმრთელი, ეხლა კი შემეხედეთ მეცა და სხვებსაც, როგორი გამხდრები ვართ. ექიმები მეუბნებიან, რომ უნდა ვიკვებო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭლექით დავაავადდები, ასეთი გარემოებისა გამო გთხოვთ — იძულებული ვარ, გთხოვოთ — გამაგზავნოთ სხვა ისეთ სამუშაოზე, სადაც შიმშილი არ მომიწევს“. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მე ვთქვი, რასაც ვფიქრობდი და რაც მწამდა. სადღაც გულში ვფიქრობდი: შეიძლება, ჩემმა სიტყვამ დასის ნახევრად მშიერ მდგომარეობას უშველოს-მეთქი. ბერია მიუბრუნდა ახმეტელს და უთხრა: — ეს ჩვენთვის სიახლეა! შენ აქ მოსვლისას როდესაც გეკითხებოდით, რა ამბებია თეატრში, ერთხელაც არ გითქვამს კოლექტივის მძიმე მდგომარეობის შესახებ. მუდამ ამბობდი, რომ კარგად ცხოვრობთ! მიუბრუნდა მგალობლიშვილს — იქნებ, შენ გითხრა რამე ახმეტელმა? მგალობლიშვილმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. უცებ გამახსენდა, რას გვეუბნებოდა საშა ხშირად: — მე მთავრობაში მუდამ ვამბობ დასის ნახევრად მშიერი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არავინ ყურადღებას არ მაქცევს. ყოველივეს გაგონების შემდეგ უამრავი აზრი დამებადა თავში... მთავრობას ეუბნებიან, რომ ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, ჩვენთან კი ამბობენ, რომ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. გაბრაზებულმა ბერიამ, ამით დავამთავროთო, სთქვა. წამოვედით. იუბილეზე პრემიის სახით ორი თვის (!) ხელფასი დაგვრიგეს; ახმეტელს, ვასაძესა და მე სახალხო არტისტის წოდება, ხოლო წულუკიძეს დამსახურებულისა მოგვანიჭეს. კოლექტივში მიდიოდა ლაპარაკი, ვინ დაწერა და დაასმინა ბერიასთან იმ დღეს ახმეტელის კაბინეტში ნათქვამი. ბევრ უდანაშაულოს აბრალებდნენ. გამოცანა გამოუცნობი დარჩა. ბოლო წლებში, მეტ-ნაკლებად ვრწმუნდები ინფორმატორის პიროვნებაში — მაგრამ ახლაც არ მინდა ამის დაჯერება — ვიღაცამ ისარგებლა ახმეტელზე „მელკოი ობიდოი“ მსახიობთა ჯგუფიდან და ეცადა, დაერწმუნებინა ბერია, რომ საშინელება ხდება თეატრში. ბერია და ახმეტელი იყვნენ „ნე ვლადახ“ და ამან უფრო გააღრმავა უფსკრული მათ შორის.

●

ახალი მისული ვარ თეატრში. დაახლოებული არავისთან ვარ. შეიძლება ითქვას, გიორგი დავითაშვილი ცდილობდა ჩემთან დაახლოებას, მეც, როგორც ახალგაზრდა მსახიობს, მიხაროდა მასთან დაახლოება, რადგან გიორგი უკვე სახელოვან მსახიობად ითვლებოდა.

ერთხელ შევამჩნიე, რომ თავზე ჭაღარა თანაბრად არ ჰქონდა განლაგებული. მაინცდამაინც არ მივაქციე ყურადღება. ერთხელ, წარმოდგენის დაწყების წინ მის საპირფარეშოში შევედი. ვხედავ — ზის მელოტი გიორგი (თავის შუა ნაწილში თმა არ ჰქონდა) ძალიან გამიკვირდა. გიორგი ცდილობდა, მალე დაეხურა თეატრალური პარიკი. როდესაც შევეკითხე ასეთი ცვალებადობის მიზეზის შესახებ, ამიხსნა, რომ მას თავზე, შუა ნაწილზე, დადებული აქვს პარიკი და ცხოვრებაშიც ასე დადის. მე მაშინ არც მქონდა წარმოდგენა, რომ კაცმა ხალხში შეიძლება პარიკით იაროს. რატომღაც გიორგის პარიკით სიარული წყინდა. მან დამიწყო მტკიცება, რომ ამაში არაფერია სასირცხვილო: კაცს თუ კბილი არ უვარგა, ხომ ჩაისვამს ახალ კბილს? ვალერიან გუნიას ცალი თვალი არა ჰქონდა — ის თვალს ატარებდა, ხომ? კაცს თუ ფეხი მოსჭრეს, პროტეზს ატარებს და არავინ დასცინის, რატომ არ შეიძლება კაცმა პარიკი ატაროს, თუ იგი მელოტია? ისე მტკიცედ მარწმუნებდა, რომ მისი სიტყვები დავიჯერე და მის რჩევას, რომ მეც მეტარებინა „ნაკლადკა“ — დავეთანხმე, შევუკვეთე ჩვენს პარიკმახერებს „ნაკლადკა“, მაგრამ ცხოვრებაში მისი ტარებისა შემრცხვა. გადავწყვიტე, რომ კონცერტებზე გამოსვლისას გავიკეთებდი.

კონსერვატორიაში ვ. ანჯაფარიძის საღამო გაიმართა. მეც მთხოვეს, მიმეღო მონაწილეობა. წვიმიანი საღამო იყო. დიდის ამბით დავიდევი თავზე პარიკი და, გზაში წვიმას რომ არ დაეშალა, ვიშოვე ეტლი და კონსერვატორიისაკენ გავემართე. ვდგავარ კულისებში „თმახუჭუჭა“ ბიჭი. თავს უხერხულად ვგრძნობდი, კონფერანსიე ჭიაურელმა გამოაცხადა ჩემი გვარი. უნდა გავიდე სცენაზე და უცბად თავში გამიელვა: დამსწრე საზოგადოება დღეს დილით მელოტს მხედავდა და ამ საღამოს თმიანი წარვსდგები მის წინაშე. მეუხერხულა, ულამაზოდ მეჩვენა. ერთ წუთს მოვიძვრე პარიკი, გადავისვი თავზე ხელი. როგორიც ვიყავი ცხოვრებაში, ისე გამოვედი სცენაზე. ის იყო და ის, პარიკი არასდროს არ მიხმარია ცხოვრებაში.

იყავი ცხოვრებაში ისეთი, როგორიცა ხარ. ნუ ეცდები ხალხის შეცდომაში შეყვანას. ბუნებრიობას არაფერი სჯობს. შელამაზებული არც გარეგნობა ვარგა და არც შენი ხელოვნური სულიერი თვისებანი — თუ გიხარია, გაიხარე; თუ გწყინს, ნუ ეცდები დაფარვას. შენს განცდებს ნუ შეუფარდებ სხვის სურვილს.

სამწუხაროდ, ასეთმა შეხედულებამ ადამიანის უძრაობაზე და ბუნებრიობაზე ცხოვრებაში მე ბევრი ზიანი მომაყენა, მაგრამ მაინც ასე მიწირავს და ასევე ვწირავ მომავალშიც... დიპლომატია არ გამომდის...

●

1937 წელია. საშინელი წელიწადი: იჭერდნენ ყველას — მტყუანსაც და მართალსაც. შიში იყო გამეფებული მოსახლეობაში. არ გქონდა იმედი, რომ ხვალინდელი დილა მშვიდობით გაგითენდებოდა. ხალხში სულ გაისმოდა: წუხელის ეს დაიჭირეს, ის გადაასახლეს, მას ეძებენ და სხვ.

ერთ დროს ჩემზედაც დადიოდა ხმები, რომ დამიჭირეს. დანახვისას გვერდზე ჩამივლიდნენ, ეშინოდათ დასაჭერად გამზადებულისა და ჩემთან მოსაუბრენიც არ დაეჭირათ. ბევრ ვინმეზე იყო გავრცელებული. მაგალითად, სანდრო შაწილიაშვილზე, ნატო ვაჩნაძეზე, კოლია შენგელაიაზე და სხვ. ფუტბოლის თამაშის დროს სტადიონზე იყო მთელი მთავრობა (ლოჟაში ისხდნენ). ლოჟის ქვემოთ, ტრიბუნებზე იჯდა კ. შენგელაია თავისი ნატათი. ბერიამ მიიწვია ისინი ლოჟაში და გვერდით მოისვა. რასაკვირველია, ხალხმა ეს შენიშნა. ეს იყო და ეს, მეორე დღეს არავის უთქვამს, რომ კოლია და ნატა ან დაიჭირეს, ან დაიჭერენო. მეც დაახლოებით ასეთივე ამბავი შემემთხვა. რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, როდესაც ამბობენ, რომ დაგიჭერენ, მაგრამ მე დამშვიდებული ვიყავი, რადგან არანაირი დანაშაული არ მქონდა ჩადენილი, მაგრამ მაინც ღელავდნენ ჩემი მეგობრები, ნათესავები, ოჯახი.

ერთხელ თეატრში რეპეტიცია გვიანობამდე არ დამთავრდა. რეპეტიციის შემდეგ მე, შალვა და მანაველ აფხაიძეებმა გადავწყვიტეთ, ცოტა ხნით ოპერის თეატრში შევსულიყავით, სადაც ოლიმპიადა მიმდინარეობდა. გაუპარსავნი ვიყავით და არც სათანადოდ ჩაცმულნი. ამიტომ, პარტერის ნაცვლად, იარუსის (მესამე) ლოჟაში დავსხედით. დარბაზი განათებული იყო. სცენაზე ანსამბლები ერთმანეთს სცვლიდნენ. პირდაპირ მთავრობის ლოჟა იყო, სადაც ბერია და მთავრობის დანარჩენი წევრები ისხდნენ. ჩვენი ლოჟის კარს დახურვისა და გაღებისას ტკაცანი გაჰქონდა. ლოჟაში რომ შევედით, ხალხმა დაგვინახა. შევამჩნიეთ, რომ ბერიამაც დაგვინახა. მან მოიხმო თავისი მცველი და რაღაცა უთხრა. გავიდა ცოტა ხანი და ტკაცუნით გაიღო ჩვენი ლოჟის კარი და შიგ ფორმაში გამოწყობილი მცველი შემოვიდა. მე მომმართა და მითხრა — ბერია სამივეს თავის ლოჟაში გთხოვთო. მთელი დარბაზი ჩვენ გვიყურებდა. ავდექით და გამოვედით დერეფანში. ბევრმა იფიქრა, რომ ჩვენ დაგვიჭირეს. შევედით ბერიას ლოჟაში და უკან გავჩერდით. ბერიამ დამიძახა და თავის გვერდით დამსვა. როდესაც ხალხმა ბერიას გვერდით დამინახა, სცენას თავი დაანება და სულ ლოჟისაკენ იცქირებოდნენ. ბერია რაღაცას მეკითხებოდა და მივხვდი, რატომ გააკეთა ეს. ძალზე აღელვებული ვიყავი და არა მესმოდა რა. მეორე დღეს ჩემი დაპატიმრების შესახებ ჭორი ხალხში მოისპო.

●

1937 წელს სრულიად უმართებულოდ დააპატიმრეს ჩემი ქვისლი გიგო ბაქრაძე და ჩემი მეუღლის ნათესავი ვანო მაყაშვილი. ორივეს წვრილშვილები დარჩა. ყოველ ზაფხულს აგარაკზე მიყავდათ თავიანთი ოჯახები. დაპატიმრების შემდეგ კი რა დროის აგარაკი იყო. მე, რადგან ფული მქონდა მიღებული, რამდენიმე დღეში მივიყვანე საბარგო მანქანა, ჩავსვი ბავშვები, ქალები და ავიყვანე წყნეთში, ვუქირავე ოთახები, დავუტოვე საცხოვრებლად სახარჯო ფული და უკან გამოვბრუნდი. ორი დღის შემდეგ თავისთან დამიბარა ბერიამ. დამხვდა მოღუშული. ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა. მელაპარაკება რუსულად: სად იყავით გუშინწინ? ქალაქში, ვუპასუხე მე. არა, არა, ქალაქიდან გახვედით. დიახ, ავედი წყნეთში. ვისთან ერთად ახვედით წყნეთში? მე მოვყევი, რომ დაიჭირეს ჩემი საუკეთესო მეგობრები, ბაქრაძე და მაყაშვილი. მათ დარჩათ ოჯახები წვრილშვილით. ამ სიცხეში ბავშვები შეიძლება ავად გახდნენ, ამიტომ ავიყვანე ისინი წყნეთში საგარაკოდ. თუკი არიან ხალხის მტრები, ხუთი წლის ბავშვებმა რა დააშავეს, გაიზარდონ, იქნებ მათგან ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო ხალხი დადგეს. მათ ოჯახს ეყოფა თავისი გასაჭირი. ჩემი საქციელი ჩემი მეგობრების წინაშე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე. დიდხანს მისმენდა. მერე ჩემსკენ შემობრუნდა და მითხრა: „აი, წაიკითხეთ“ და ქაღალდის ფურცელი გამომიწოდა. წერილი ანონიმური იყო. შიგ ეწერა, რომ მე ამა და ამ დღეს, ამ საათზე, საბარგო ავტომობილზე ვიჯექი რეპრესირებულთა ბავშვებთან და ცოლებთან ერთად და გავსწიე წყნეთისაკენ. ანონიმი აღშფოთებას გამოთქვამდა ჩემი ასეთი საქციელისა გამო და მკაცრად დასჯას მოითხოვდა.

ეტყობა, ამ წერილმა ძლიერ ამაღელვა და მივმართე ბერიას: — რა დააშავეს ბავშვებმა-მეთქი. „ამის დამწერი რომ პატიოსანი კაცი იყოს, გვარს მიაწერდა, წადით, მოუარეთ ბავშვებს და ეცადეთ, კარგი მოქალაქენი გამოვიდნენ, — მითხრა ბოლოს ბერიამ. მადლობა გადავუხადე და ოთახიდან გამოვედი.

მე მგონია, რომ ეს შეხვედრა იყო მიზეზი იმისა, რომ ჩემი მეგობრების მეუღლეებიც არ დააპატიმრეს. უმამოდ გაიზარდნენ ბავშვები და მეც გახარებული ვარ — დღეს ისინი სასახელო ადამიანები არიან და უფრო მიხარია, რომ ჩემს მეგობრებს თუ არა, იმათ ოჯახებს მაინც გავუწიე მეგობრობა.

მართალია, ორივე რეპრესირებული შემდეგ რეაბილიტირებულნი იყვნენ, მაგრამ ორი შესანიშნავი, მართალი ადამიანი სრულიად უსაფუძვლოდ დაიღუპა. საშინელი წელი იყო ქართველი ხალხისთვის და, განსაკუთრებით, ქართველი ინტელიგენციისათვის და განა მარტო ქართველებისათვის.

გაგრძელება იქნება

ბერია ლაპარაკის დროს ქაღალდის ფურცლებს ათვალიერებდა და ახმეტელთან შეკრებისას ყველა გამომსვლელის ნათქვამს პასუხს სცემდა და ჯიქურ უყურებდა მას

ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის **„ბიბისის“ (BBC)** ვებ-საიტზე გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ამბობენ, რომ საქართველოს ყველაზე მდიდარ ადამიანს, აშშ-ის სანქციების თავიდან ასაცილებლად, ქონება ოფშორული ზონებიდან საქართველოში გადააქვს“** (ავტორი – **რაიჰან დემიტრი**).

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:



ხელოვნების ნიმუშები საქართველოს უბრუნდება!

გასული წლის გაზაფხულზე, როცა ათიათასობით ქართველი ქუჩაში ქვეყნის მთავრობის მიერ პრორუსული პოლიტიკის გატარებას აპროტესტდებდა, საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო შესწორებები ქვეყნის საგადასახადო კოდექსში.

იმ დროს ანტიკორუფციული ორგანიზაცია **Transparency International (TI) Georgia** წერდა, რომ კოდექსში შეტანილი ცვლილებები, სავარაუდოდ, ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანის ინტერესებს ემსახურებაო – მმართველი პარტიის დამფუძნებელისა და საპატიო თავმჯდომარის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს. „ახლა გასაგებია, რომ სწორედ ასეა – ჩვენი იმდროინდელი ვარაუდი დადასტურდა“, – ამბობს **TI Georgia**-ს ანალიტიკოსი ბესო ნამჩავაძე.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი ქონება (4,9 მილიარდი დოლარი) 1990-იან წლებში რუსეთში დააგროვა და როგორც ითვლება, მისი სიმდიდრის დიდი ნაწილი ოფშორულ კომპანიებშია თავმოყრილი.

საქართველო პოლიტიკურ კრიზისშია ჩაძირული გასული წლის მაისიდან, როცა ქვეყნის პარლამენტმა სადაო კანონი მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელსაც ხშირად „უცხოური აგენტების“ კანონსაც უწოდებენ. ამ სამართლებრივი აქტის თანახმად, ის არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედიის საშუალებები, რომლებიც თავიანთი ბიუჯეტის (დაფინანსების) 20%-ს უცხოეთიდან იღებენ, რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ შესაბამის სახელმწიფო უწყებაში, შემოწმდეს მათი შემოსავლები და თუ რეგისტრაციაზე უარს იტყვიან, დიდი თანხით დაჯარიმდებიან. ბევრმა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი იმის მცდელობად ჩათვალა, რომ მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ პრორუსული მთავრობა თავს არიდებს აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნების გავლენას საქართველოზე.

პროტესტები გაგრძელდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც. რომელიც ოპოზიციამ გაყალბებულად ჩათვალა. გარდა ამისა, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აღაშფოთა მთავრობის მიერ მიღებულმა კიდევ ერთმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის დროებით შეჩერებას ითვალისწინებდა. საპროტესტო აქციების ბევრი მონაწილე პოლიციამ დააპატიმრა და მათზე ფიზიკური ძალადობა გამოიყენა.

მთავრობის რეპრესიების საპასუხოდ გასული წლის ბოლოს აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ხელისუფლებამ (აწ უკვე ექს-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ) ბიძინა ივანიშვილის მიმართ სანქციები დააწესა. არსებობს აგრეთვე იმის რისკიც, რომ ბიძინა ივანიშვილს სანქციები გამოუცხადოს დიდი ბრიტანეთის მთავრობამაც – გასულ თვეში ლიბერალ-დემოკრატმა ჯეიმს მაკლირმა პარლამენტში შესაბამისი წინადადება შეიტანა – „საქართველოს მთავრობა ეწინააღმდეგება ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს და მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ გადაჭარბებულ ძალას იყენებს, ამიტომ სანქციები უნდა დაუწესდესო“.

TI Georgia-ს შეფასებით, თუ დიდი ბრიტანეთი მართლაც გამოაცხადებს სანქციებს, მაშინ საფრთხე შეექმნება ბიძინა ივანიშვილის მთელ ბიზნეს-იმპერიას, რადგან მისი ჰოლდინგური კომპანიები სწორედ ბრიტანულ ოკეანისიქითა ტერიტორიებზეა დარეგისტრირებული – ვირჯინიისა და კაიმანის კუნძულებზე. ბესო ნამჩავაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახის წევრები ცდილობენ, თავიდან აიცილონ სანქციების საფრთხე და თავიანთი ოფშორული კომპანიების ქონების გადაფორმება საქართველოში ახლად შექმნილ კომპანიებზე დაიწყეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, იანვრის თვეში უცხოეთიდან ქვეყანაში ხელოვნების რამდენიმე ძვირადღირებული ნივთი შემოიტანეს – ნახატები თითქმის 500 მილიონი დოლარის ფასით. ბევრი თვლის, რომ აღნიშნული ნახატები ბიძინა ივანიშვილის კოლექციიდანაა: „ყველასათვის ცნობილია, რომ მილიარდერი თავისი სიმდიდრიდან და აქტივებიდან ყველაზე მეტად ხელოვნების ნიმუშებს აფასებს“, – ამბობს თინა ხიდაშელი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი და არასამთავრობო ორგანიზაციის Civic Idea-ს ამჟამინდელი ხელმძღვანელი, – „მას თავისი ნახატები უცხოეთიდან საქართველოში შემოაქვს და გადასახადის გადახდას არ აპირებს“.

პარლამენტის ფინანსებისა და ბიუჯეტის კომისიის თავმჯდომარე პაატა კვიჟინაძე მხარს უჭერს ოფშორული ზონებიდან აქტივების თავისუფალ შემოტანას საქართველოში, ყოველგვარი გადასახადების გარეშე: „ჩვენი გადაწყვეტილება სწორედაც რომ სასიკეთოა: ის ემსახურება ოფშორული ზონებიდან კომპანიების გამოყვანას და ქვეყანაში ინვესტიციების შემოტანას“.

მმართველი პარტია უზრუნველყოფს მილიარდერის ინტერესების დაცვას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფინანსური დავა აქვს შვეიცარიის ბანკთან Credit Suisse-თან. ამას წინათ კი მისმა ადვოკატმა საჩივარი შეიტანა კიდევ ერთი შვეიცარიული ბანკის Julius Baer-ის წინააღმდეგ, რომელიც არასწორად ინტერპრეტირებს ამერიკულ სანქციებს და „პოლიტიკურ შანტაჟს“ მიმართავს.

ზოგიერთების ვარაუდით, მილიარდერის უნდობლობა დასავლეთისადმი გამოწვეულია პირადული რწმენით, რომ თითქოსდა მის წინააღმდეგ გლობალური შეთქმულება არსებობს, საერთაშორისო „ღრმა სახელმწიფოს“ („სახელმწიფო სახელმწიფოში“) და „გლობალური ომის პარტიის“ მიერ.

ექსპერტების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილს მმართველი პარტიის მხოლოდ საპატიო თავმჯდომარის სტატუსი აქვს, არის იმის მტკიცე რწმენა, რომ იგი საქართველოში უპირველეს ფიგურად ითვლება. შესაბამისად, მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები მთელი მთავრობის საწინააღმდეგოდ მიმართულ სანქციებად ითვლება.

ნიკა გილაური საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო 2009-2012 წლებში, ამჟამად იგი კერძო კომპანია **Reformatics**-ის ხელმძღვანელია, რომელიც კონსულტაციებით არის დაკავებული მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების საკითხში. როგორც ნიკა გილაური ამბობს, საქართველოში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე: „ჩვენ ვხედავთ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირდება: 2024 წლის 9 თვის მონაცემებით, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ინვესტიციების დონე 40%-ით დაეცა. ასე რომ, სამომავლოდ მდგომარეობა გაუარესდება“.

მაგრამ მთავრობა სულ სხვა სურათს ხატავს: გასულ თვეში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ 6 მილიარდი დოლარის საინვესტიციო ხელშეკრულება გააფორმა არაბულ კომპანია Emaar-თან არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, რაც ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ბოლო ათწლეულის უდიდეს გარიგებად შეაფასა და რომელიც ეკონომიკის 1,5%-იან ზრდას უზრუნველყოფს. თვითონ ირაკლი კობახიძის ვარაუდით, საქართველოს ეკონომიკისათვის ყოველწლიური 10%-იანი ზრდა სრულიად რეალურია.

მაგრამ ამას წინათ ქართული კვლევითი კომპანიის **Policy and Management Consulting Group (PMCG)** მიერ გამოქვეყნებული მოხსენება აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის პერსპექტივა უახლოეს 6 თვეში „უკიდურესად ნეგატიურია“. მასში ხაზგასმულია, რომ პოლიტიკური რყევების გაგრძელება ეკონომიკაზე ნეგატიურად იქნება ასახული.

ნიკა გილაურიც ამბობს, რომ მიმდინარე 2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა არ გაიზრდება და ნულოვან ნიშნულზე გაჩერდება:

„სამომავლოდ დიდი საბიუჯეტო პრობლემები გვექნება, გართულდება ვალუტის გაცვლა, მოიმატებს ინფლაცია და უმუშევრობის დონე, საფრთხის წინაშე დადგება საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობა... და ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რომელიც ერთადერთი სწორი გზაა როგორც ქვეყნისათვის, ასევე პირადად ბიძინა ივანიშვილისათვის“, – ამბობს ნიკა გილაური, საქართველოს ექს-პრემიერ-მინისტრი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს.

მოამზადა
სიმონ კილაძემ
წყარო: https://www.bbc.com/news/articles/cj91xgylkwlo

ოლაფ შოლცმა მიხაელ როთს არაპატრიოტი ტ...კი უწოდა

გერმანიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ და ამჟამად ევროპარლამენტარმა მარი-აგნეს შტრაკ-ციმერმანმა სოციალურ ქსელ X-ზე დაწერა, რომ ქვეყნის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს მიხაელ როთს და ევროპულ საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელს ანტონ ჰოფრეიტერს არაპატრიოტი პროვინციელი ტრ***კი უწოდა.

თავდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის განცხადებით, შემთხვევა ერთი წლის წინ მოხდა. „ერთი წლის წინ ცნობილი გახდა, რომ ოლაფ შოლცმა უკრაინის მომხრეებს მიხაელ როთს, ტონი ჰოფრეიტერს და მე არაპატრიოტი პროვინციელი ტრ***კი გვიწოდა. სავარაუდოდ, მას ეს ინციდენტი აღარ ახსოვს. დარჩა კითხვები?“, – დაწერა შტრაკ-ციმერმანმა.

ინციდენტის შესახებ გამოცემა **Politico**-მ დაწერა. სტატიაში კონკრეტული გვარები ჩამოთვლილი არ არის, თუმცა აღნიშნულია, რომ 2024 წლის 29 იანვარს შოლცი გერმანელ პოლიტიკოსებს ხვდებოდა. რამდენიმე პოლიტიკოსმა მისი პოლიტიკა უკრაინის მიმართ გააკრიტიკა, რაზედაც კანცლერმა თქვა, რომ მისი კრიტიკოსები არაპატრიოტი პროვინციელი ტრ...კები არიან.

გამოცადეს კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა

„კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის საცდელმა გაშვებამ აჩვენა, რომ აშშ-ის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ფლოტი მზადაა, საიმედოდაა და ეფექტურია სტრატეგიული კონკურენციის ეპოქაში უპირატესობის მოსაპოვებლად“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ცნობისთვის, **Minuteman** III – ხმელეთზე ბაზირების კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტაა. ის კომპანია **Boeing**-ის მიერ არის წარმოებული. რაკეტა აშშ-ის შეიარაღებაში 1970 წლიდან ირიცხება. მისი სიჩქარე 24 ათასი კმ/სთ-ია, ხოლო მოქმედების მანძილი – 13 ათასი კილომეტრი.

როცა უნდობლობის საზღაური მომაკვდავ პაციენტთა სიცოცხლეა

მეზუთე გვერდიდან

პაციენტები ამოჯრილი ერთი თირკმლით და ითხოვენ თირკმლის გადანერგვას. ერთი საღი თირკმლით ადამიანს შეუძლია დიდხანს ჯანმრთელად იცოცხლოს, ამიტომ მათ გადანერგვა არ სჭირდებათ. გევრი ადამიანი მხოლოდ ერთი ჯანმრთელი თირკმლით იბადება და ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ ვერც იგებს ამას.

რაც შეეხება დონორისა და პაციენტის ურთიერთობას, იგი რეგულირდება კანონით, რომელიც 2000 წელს არის მიღებული და შემდეგ რამდენიმეჯერ შესწორებული. საქართველოში დონორი პაციენტის ოჯახის წევრი, ან უახლოესი ნათესავი (შვილი, დედა, მამა, შვილიშვილი, ბებია, პაპა, ძმა, და, ძმისწული, დისწული, დედის ძმა ან და, მამის ძმა ან და, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი) შეიძლება იყოს. დაშვებულია აგრეთვე, მეუღლის და მეუღლის უახლოესი ნათესავებისაგან ორგანოს გადანერგვა, თუ მათი ქორწინებიდან სულ მცირე ორი წელია გასული. ჩვენი კანონმდებლობა უშვებს ორგანოს გადანერგვას ასევე არამონათესავე, ე.წ. „ემოციურად დაკავშირებული“ პირებისაგან. ასეთებია, მაგალითად, მეგობარი, პარტნიორი, ნათლია /ნათლული და სხვა. აღნიშნულ შემთხვევებში დონაციის აქტი უნდა იყოს ნებაყოფილობითი და გამორიცხავდეს დონორის პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსურ დაინტერესებას. ორგანოებით ვაჭრობა ყველა ქვეყანაში დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი არეგულირებს ორგანოების ტრანსპლანტაციას გარდაცვლილი დონორებისგანაც. თუმცა, ეს ოპერაციები ჩვენს ქვეყანაში სადღეისოდ არ წარმოებს.

– ბატონო არჩილ, როგორია თირკმლების გადანერგვის შედეგები, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ამ ოპერაციას და როგორია პაციენტების ცხოვრება გადანერგვის შემდეგ?

– თირკმლის ტრანსპლანტაცია, მართალია, რთული ოპერაციების კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ 25-წლიანი გამოცდილების ფონზე რუტინად იქცა ჩვენს დაწესებულებაში. დონორისა და პაციენტის ორივე ოპერაცია, სტანდარტულად, ჯამში ოთხი საათის განმავლობაში გრძელდება და მე არ მახსოვს მნიშვნელოვნად მეტი დრო ბოლოს როდის დამჭირდა. ოპერაციის შესაძლო გართულებებიც იმ სიხშირით ხდება, რაც საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული და მათი მართვის საკმაო გამოცდილებაც გვაქვს.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არსებულ მკურნალობის მეთოდებს შორის, თირკმლის ტრანსპლანტაცია უზრუნველყოფს ყველაზე ხანგრძლივ და საუკეთესო შედეგებს. თირკმელგადანერგილი პაციენტები ყველაზე მეტ ხანს ცოცხლობენ, მათში სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია მკურნალობის სხვა მეთოდებთან შედარებით. რაც უფრო ადრე იქნება ჩატარებული ეს ოპერაცია, მით უკეთესი იქნება შედეგები. დიალიზზე გადასვლამდე ჩატარებულ თირკმლის ტრანსპლანტაციას კი საუკეთესო შედეგები აქვს.



ლაურ მანაგაძე

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამედიცინო შედეგების გარდა, თირკმლის ტრანსპლანტაცია უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხის საუკეთესო მაჩვენებლებს. თირკმლის გადანერგვის შემდეგ ხდება პაციენტების ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი და სწრაფი აღდგენა პრაქტიკულად ოპერაციამდელ დონემდე, ისინი უბრუნდებიან ნორმალური ცხოვრების რიტმს, იწყებენ მუშაობას, ოჯახდებიან, აჩენენ შვილებს და ა. შ. ანუ, ფაქტობრივად, ხდება მათი სრული სოციალური რეაბილიტაცია. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით დიალიზზე მყოფ პაციენტებზე.

თუმცა, პაციენტებზე უფრო მეტად, ჩვენი ყურადღების, ზრუნვისა და ნერვიულობის საგანი დონორის ჯანმრთელობაა. დონორის ოპერაცია ბევრად უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე პაციენტისა და აი რატომ: ეს, ფაქტობრივად, ერთადერთი შემთხვევაა მედიცინაში, როდესაც ძალიან რთული ოპერაცია, უტარდება აბსოლუტურად ჯანმრთელ ადამიანს, თანაც არა იმიტომ, რომ ეს, თავად მას სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ მისთვის ძვირფას ადამიანს უნდა გადაურჩინოს სიცოცხლე. ერთია, როცა ადამიანს მოჰკვეთ დაავადებულ, მაგალითად, სიმსივნიან თირკმელს და სულ სხვაა, როცა მას ამოუღებ აბსოლუტურად ჯანმრთელ ორგანოს! დამეთანხმებით, პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში ბევრად მეტია! პირადად ჩემი განცდის ძირითადი მიზეზიც, ყველა ოპერაციის წინ, სწორედ დონორის ჯანმრთელობას უკავშირდება. მადლობა ღმერთს, ამ 25 წლის განმავლობაში ჩვენ დონორებში რაიმე სერიოზული გართულება არ გვქონია.

– თქვენ ძალიან ნათლად დახატეთ ამ ოპერაციებთან დაკავშირებული სირთულეები და ხიფათები. მართლაც არ უნდა იყოს ადვილი ადამიანისათვის ორგანოს გაცემის გადაწყვეტილების მიღება და ეს, გარდა იურიდიულისა, უფრო მეტად ეთიკურ დილემებთან უნდა იყოს კავშირში. რამდენად ადვილად იღებენ ადამიანები ამ გადაწყვეტილებას და როგორია ხოლმე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ?

– ჩემ მიერ თირკმელგადანერგილი პაციენტების დონორების 80 პროცენტი მშობელები არიან, მათში კი მნიშვნელოვნად დედები ჭარბობენ. რა თქმა უნდა, როცა დედა ან მამა შვილს აძლევს ორგანოს, აქ არანაირ ეთიკურ ან სხვა რაიმე დილემებზე არ არის საუბარი, ეს გადაწყვეტილება ძალიან მარტივად და სწრაფად მიიღება. თუმცა ბევრი სხვა ტიპის ტრანსპლანტაცია მაქვს ჩატარებული როგორც ნათესავებს, ისე არანათესავებს შორის. ხშირია, სხვათა შორის, მეუღლეებს შორის გადანერგვა და აქ ქალი დონორების ხვედრითი წილი ჭარბობს, ანუ, ცოლები უფრო ხშირად და მარტივად ელევიან თავის თირკმელს საყვარელი ადამიანის გადასარჩენად. ასევე დონორებად ყოფილან დეიდები, ბიძები, მამიდები, და-ძმები, მეგობრები, მეზობლები, სიდედრიც კი!

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია დონორის ჯანმრთელობის მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და შევისწავლეთ ჩვენ მიერ ნაოპერაციები დონორების ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები ოპერაციის შემდეგ. კვლევამ აჩვენა, რომ მათი ჯანმრთელობის პარამეტრები არ უარესდებოდა დონაციის შემდეგ. 25 წლის მანძილზე არცერთი ჩვენი დონორი არ მოხვედრილა დიალიზზე და არ გარდაცვლილა თირკმლების პრობლემებით.

კიდევ უფრო საინტერესო შედეგები მივიღეთ დონორების ცხოვრების ხარისხის პარამეტრების ანალიზისას: როდესაც შევადარეთ ეს მაჩვენებლები ჯანმრთელი პოპულაციის მაჩვენებლებს, აღმოჩნდა, რომ რიგ პარამეტრში დონორების მაჩვენებლები აღემატებოდა არანაოპერაციები პირებისას, ანუ, დონორების ცხოვრების ხარისხი უკეთესი იყო არანაოპერაციებ პირებთან შედარებით.

– გამოდის, რომ თირკმლის გაცემის ოპერაცია შეიძლება სასარგებლოც იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის? იქნებ უფრო დეტალურად აგვიხსნათ.

– სინამდვილეში, აი რაშია საქმე: ოპერაციამდე დონორები გადიან ძალიან დეტალურ სამედიცინო შემოწმებას პრაქტიკულად ყველა პარამეტრის მხრივ და წარმოადგენენ ადამიანების შერჩევით ჯგუფს, რომლებიც საერთო პოპულაციასთან შედარებით უფრო ჯანმრთელები არიან. ჯანმრთელობის პარამეტრების უკეთესი მაჩვენებლებიც ამით აიხსნება.

რაც შეეხება ცხოვრების ხარისხს, როგორც უკვე ვთქვი, დონორების უმეტესობა თირკმელს გასცემს მათთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად და იმის განცდა, რომ მათ სიცოცხლე შეუნარჩუნეს თავიანთ შვილს, ოჯახის წევრს თუ საყვარელ ადამიანს, მნიშვნელოვანი მორალური სტიმულია.

– მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ როგორ ფინანსდება ეს ოპერაციები და მატერიალურად რამდენად მძიმე გასაწევია იგი ჩვენი პაციენტებისათვის?

– მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ თირკმლის ტრანსპლანტაციის ორივე ოპერაცია, როგორც დონორის, ისე პაციენტის, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯერ კიდევ 1997 წლიდან. თავიდან ეს იყო ოპერაციების ფიქსირებული ოდენობა, ანუ ჩვენ შეგვეძლო წელიწადში მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ოპერაციების წარმოება, ბოლო წლებში კი დაფინანსება შეზღუდული არ არის. იგივე ეხება ღვიძლის ტრანსპლანტაციასაც. თუმცა, სახელმწიფო პროგრამა აფინანსებს ამ ოპერაციებს, მხოლოდ შესრულებული სამუშაოს, ანუ ოპერაციის შემდეგ და მხოლოდ სტაციონარული მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს. არადა, ოპერაციამდე დონორ-რეციპიენტს სჭირდება მთელი რიგი ამბულატორიული კვლევა, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ძვირადღირებულია, მაგალითად, იმუნოლოგიური შეთავსების ტესტი და კომპიუტერული ტომოგრაფია. აღნიშნული ხარჯი ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, პაციენტის დასაფარია და ბევრს უჭირს ამ თანხების გამონახვა. დონორისა და პაციენტის წინასაოპერაციო მომზადების ხარჯის ბიუჯეტიდან დაფარვა რომ მოხერხდებოდეს, მაგალითად ისე, როგორც ეს ონკოლოგიური დაავადებების ახლადამოქმედებულ პროგრამაშია, ეს დიდი შეღავათი იქნებოდა ჩვენი პაციენტებისათვის.

ასევე პრობლემურია, რომ სახელმწიფო პროგრამიდან არ ფინანსდება ოპერაციების შესაძლო გართულებები, რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე. გართულებების მართვა მთლიანად კლინიკების ვალდებულებაა და ზოგჯერ შეიძლება ძალიან სერიოზულ თანხებთან იყოს დაკავშირებული.

– ბატონო არჩილ, ყველა დარგს აქვს გარკვეული სირთულეები, ამდენად საინტერესოა ექსპერტის აზრი, თუ რა მიგაჩნიათ მთავარ პრობლემებად ამ მიმართულებით და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა?

– ტრანსპლანტოლოგიაში ბევრი პრობლემაა, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში. ფინანსურ პრობლემებზე ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ. ძირითადი პრობლემა მსოფლიოშიც და საქართველოშიც, არის ორგანოების ტოტალური დეფიციტი, ანუ პაციენტების რაოდენობა, ვისაც ესაჭიროება ორგანოების გადანერგვა მნიშვნელოვნად აღემატება წარმოებული ოპერაციების ოდენობას. დღეს საქართველოში სამას ათასამდე პაციენტია დიალიზზე და კიდევ გარკვეული რაოდენობა დიალიზის მოლოდინშია. ჩვენ კი, ქვეყნის მასშტაბით, ამის მეასედ ოპერაციას ვაკეთებთ ყოველწლიურად. ამ ტემპით, რა თქმა უნდა, პრობლემა ვერ გადაწყდება. გამოსავალი ერთია: უნდა დაიწყოს გარდაცვლილი დონორებიდან ორგანოების ტრანსპლანტაციის პროგრამა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ პაციენტებში, რომლებსაც კენტი ორგანოების გადანერგვა ესაჭიროება, მაგალითად გულს ხომ ვერ აიღებ ცოცხალი დონორიდან? ეს პაციენტები, პრაქტიკულად ეფექტიანი მკურნალობის გარეშე იღუპებიან.

ჩემი საზღვარგარეთიდან ჩამოსვლისთანავე დავიწყე ამ საკითხის აქტიური პროპაგანდირება, თუმცა მას შემდეგ გავიდა აგერ უკვე 20 წელი და დღეს ამ საკითხის გადაწყვეტა უფრო შორ პერსპექტივაში მეჩვენება, ვიდრე მაშინ. ეს კომპლექსური და ძალიან რთული თემაა, რომელიც ცალკე ანალიზს მოითხოვს. აქ ბევრი სხვადასხვა ფაქტორი თამაშობს როლს, მთავარი კი საზოგადოების უნდობლობაა სამედიცინო სექტორის მიმართ. ქვეყანაში, სადაც მოქალაქეები აბსოლუტურად არ ენდობიან ჯანდაცვის სისტემას და ელემენტარული კვლევებისთვისაც თურქეთში გარბიან, გარდაცვლილი პირებიდან ორგანოების ტრანსპლანტაციის პროგრამის ამუშავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არ მიწყინოთ და ამ უნდობლობის კულტივირებაში თქვენი კოლეგები, ჟურნალისტებიც უარყოფით როლს თამაშობენ. არ შეიძლება სამედიცინო პერსონალსა და კლინიკებზე მკითხველისთვის მუდამ უარყოფითი ინფორმაციის მიწოდება, ასე არცერთ ქვეყანაში არ ხდება. განა თურქეთში, ან სხვა ქვეყნებში არ ხდება გართულებები? თუ იქ არ იღუპებიან პაციენტები? რამდენიც გინდათ იმდენ მაგალითს მოგიყვანთ, მაგრამ რატომღაც, ამაზე არავინ ლაპარაკობს! ყოველივე ამის შედეგი კი ის არის, რომ ამ ყველაფრით ისევ ჩვენი პაციენტები და მოქალაქეები ზარალდებიან!

– ტრადიციულად, ბოლოს, გთხოვთ, დაგვიანონსოთ ჩვენი შემდეგი საუბრის თემა.

– ვფიქრობ, შემდეგი ინტერვიუს თემად შევარჩიოთ ონკოლოგიური დაავადებები და ვისაუბროთ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებაზე – შარდის ბუშტის კიბოზე.

არჩილ ჩხოტუა: დაიწყო ჩემი საზღვარგარეთ მოღვაწეობა, რომელმაც ხუთ წელს გასტანა. ამ პერიოდში მუშაობა მომიწია ჯერ ისრაელის, შემდეგ იტალიისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში.

ესაუბრა

ოთარ ტურაბელიძე

ყველანი საბურთალოზე!

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების გენერალური შეკრება დაიწყო და თბილისი არენაზე ალექსანდარ პიკიჩმა ჩვენი გუნდი სრული შემადგენლობით ავარჯიშა. ბოლო წლებში პირველად ხდება, რომ ევროპული სეზონის დროს ეროვნულ გუნდში მოთამაშეები რამდენიმე დღით ადრე სრულად იკრიბებიან. ცხადია, ეს არ ეხება ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ლიგაში მოასპარეზე კალათბურთელებს. არ არსებობს პრეცედენტი, ნბა-ს მიმდინარე სეზონის დროს კალათბურთელი ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ წასულიყოს. ასე, უბრალოდ, არ ხდება.

ნაკრებში დროულად ჩამოსვლას რომ ვახსენებთ, ძირითადად **თორნიკე შენგელიას** ვგულისხმობთ. ბოლო წლებში ის ნაკრებში ჩარტერული რეისით უფრო ხშირად დაფრინავდა, ვიდრე რეგულარულით და ეს იმის გამო, რომ ევროლიგაში მისი თამაშები ნაკრების მატჩებთან 1 დღის დისტანციაზე იყო და რომ არა ჩარტერი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ხშირ შემთხვევაში ეროვნული გუნდის თამაშს ელემენტარულად ვერ ჩამოუსწრებდა.

ამჯერად, ევრობასკეტ 2025-ის საკვალიფიკაციო ტურნირის დასკვნით ფანჯარას ევროლიგის თამაშები არ ეკვეთება. შესაბამისად, გათავისუფლდა თუ არა, თორნიკე ნაკრებისკენ გამოეშურა და თბილისი არენაზე ყველა დანარჩენ ლეგიონერთან და სუპერლიგის მოთამაშეებთან ერთად ივარჯიშა. სამწვრთნელო შტაბიც ბოლომდე შეივსო. მთავარ მწვრთნელთან – ალეკსანდარ ჯიკიჩთან და მის ასისტენტებთან – ანატოლი ბოისასა და ფილიპ მიხაილოვიჩთან ერთად ბოლო ვარჯიშზე თავიანთი ევროპული კლუბებიდან ჩამოსული მანუჩარ მარკოიშვილი და მარკო ესპოზიტოც იყვნენ.

მწვრთნელთა შტაბის განკარგულებაში 15 კალათბურთელია. ლეგიონერები – **თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე, გელა გურჯანაძე, რატი ანდრონიკაშვილი, პამარ გოლდუინი და მათე ხატიაშვილი. სუპერლიგის მოთამაშეები – ალექსანდრე ფევაძე, კახა ჯინჭარაძე, ლუკა ლიკლიკაძე, გიორგი ოჩხიკიძე, ლუკა მაზიაშვილი, ილია ლონდარიძე, გიორგი კორსანტია** და **სანდრო სანაძე.**

აღნიშნული ვარჯიში შედარებით მსუბუქი იყო იმის გათვალისწინებით, რომ არ ყოფილა კონტაქტი. მწვრთნელმა მოთამაშეებს კომბინაციები მეურვეების გარეშე დაამუშავებინა, რასაც საკალათბურთო ენაზე 5-0 ჰქვია, როცა კომბინაციას იმისთვის ამუშავებ, რომ კარგად დაისწავლო და თავდაპირველად დაცვითი ბარიერი ხელს არ გიშლის. ცხადია, პროცესი ნელ-ნელა გართულდება და კომბინაციური თამაშიც დაიხვეწება ისე, რომ 21 თებერვლისთვის როგორც მოთამაშეები, ისე – ჩვენი გუნდის თამაშის სტრატეგია მზადების პიკში იყვნენ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ დანიასთან დღევანდელი მატჩის მნიშვნელობას: მოგებით ევრობასკეტზე (ზედიზედ მეექვსედ) გავდივართ, ხოლო წაგება ფაქტობრივად მის მიღმა დარჩენას ნიშნავს. რჩება მხოლოდ თეორიული შანსი. ამიტომაცაა, დანია თამაშამდე 5 დღით ადრე რომ ჩამოვიდა და უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის მზადება დაიწყო. ჩვენამდე, თბილისი არენაზე დანიელებმა ივარჯიშეს, რომელთა შემადგენლობაშიც არ ყოფილა ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი შეივონ შილდსი. თუმცა უკვე ცნობილია, რომ ის დანიის ნაკრებს თამაშამდე შეუერთდება და საქართველოს წინააღმდეგ ითამაშებს.

დანიის შემდეგ საკვალიფიკაციოს ბოლო მატჩს საქართველო 24 თებერვალს, ბელგრადში, სერბეთის წინააღმდეგ გამართავს. დანიასთან მატჩის ბილეთების გაყიდვა **TKT.GE**-ზე მიმდინარეობს. გადამწყვეტი შეხვედრა დღეს 20:50 საათზე გაიმართება.

ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონის პლეი ოფში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მომავალ მეტოქეს სომხეთს, როგორც იქნა, ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს.

ესაა ნიდერლანდელი სპეციალისტი **ჯონ ვან შივი**, რომელიც აიაქსში წარუმატებლად გატარებულ პერიოდში გიორგი მიქაუტაძეს ავარჯიშებდა, ხოლო მანამდე საბერძნეთის ნაკრებს თავკაცობდა და ჩვენს გუნდთან 2 შეხვედრაში დადებითი ბალანსი ჰქონდა – 1 ფრე და 1 გამარჯვება.

სხვათა შორის, მეზობლები აქტიურად ცდილობდნენ გუნდში თავიანთი ლიდერის **ჰენრიხ მხითარიანის** დაბრუნებასაც, რომელმაც სანაკრებო კარიერა 4 სეზონის წინათ დაასრულა და მთელ ყურადღებას მილანის ინტერში თამაშს უთმობს, მაგრამ 36 წლის ვეტერანი შეუვალი აღმოჩნდა და წინადადებას არ დათანხმდა.

შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი 20 მარტს ერევანშია დანიშნული და იქ დისკვალიფიკაციის გამო **ხვიჩა კვარაცხელია** არ გვეყოლება, ხოლო საპასუხო შეხვედრა 23 მარტს თბილისში გაიმართება.

ზემოთ კვარადონა ვახსენეთ და მან ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ფრანგულ საპლეიოფო დერბიში შესუსტებული შემადგენლობით მებრძოლ ბრესტთან იმასთან მიახლოებული ფეხბურთი ითამაშა, რასაც ნაპოლიში მიგვაჩვია და რასაც პარი სენ-ჟერმენის ქომაგები მოუთმენლად ელიან.

თუ ვინმე იტყვის, რომ ასეთ სუსტ მეტოქესთან ბურთის გატანა და საგოლე გადაცემის შესრულება ადვილი საქმეა და ნახევარმა პარიზულმა გუნდმა შეძლო თავის გამოჩენა, მათ ვუპასუხებთ, რომ ამჯერად მშრალად დატოვა მინდორი მასპინძელთა ლიდერმა და ბომბარდირმა დემბელემ. ასე რომ, ნურავინ ეცდება ხვიჩას ნავაჟკაცარის დაკნინებას, რომელიც, სხვათა შორის, პირველი ქართველია, ვინც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის პლეი-ოფში დაარტყა ზუსტად.

ტიტეზის ქვეყნიდან

პსჟ – ბრესტი 7:0
პირველი მატჩი 3:0

დღევანდელი წილისყრა გამოავლენს, მერვედფინალში პსჟ-ს ლივერპული შეხვდება თუ ბარსელონა.

რაც შეეხება განვლილი ეტაპის დანარჩენ წყვილებს, უღვთოდ შერცხვა სერია-ა, რადგან ელიტას ერთბაშად 3 იტალიური გრანდი გამოეთიშა მილანის, იუვენტუსისა და ატალანტას სახით, მარადიულმა ფავორიტმა და 15-გზის ტრიუმფატორმა მადრიდის რეალმა კი ყველას შეახსენა წლევანდელი ამბიცია სიტისთან – 3:2 და 3:1.

მატჩის შემდეგ

„პარი სენ-ჟერმენის“ მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ენრიკემ** „ბრესტთან“ მოგების (7:0) შემდეგ ისაუბრა და კომენტარი ხვიჩა კვარაცხელიას თამაშზეც გააკეთა, რომელმაც თავი გოლით და შედეგიანი პასით გამოიჩინა.

თუმცა, ლუის ენრიკემ კვარა უპირველესად დაცვაში კარგი თამაშის გამო შეაქო:

„კვარაცხელია ტოპფეხბურთელია, რაშიც ეჭვი არ გვეპარება. ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაში ძალიან რთულია ისეთი ფეხბურთელების პოვნა, რომლებიც გუნდს აძლიერებენ. მას ჯერ კიდევ სჭირდება გარკვეული დრო ადაპტაციისთვის, რათა უკეთ გაიცნოს თანაგუნდელები. მაგრამ ნამდვილად სურს საკუთარი თავის წარმოჩენა და გუნდის დახმარება. როდესაც, 89-ე წუთზე, 7:0-ზე დაცვას დიდებულად დაეხმარა, სწორედ ეს არის ის, რაც გვინდა და ეს მენტალიტეტი გვჭირდება“, – აღნიშნა ლუის ენრიკემ.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას პსჟ-ს მაისურით ჩატარებულ 7 მატჩში 2 გური აქვს გატანილი, ხოლო 2-ჯერ საგოლე პასიც შეასრულა.

საროვანშოდ მოდიან

2025 წლის შემოდგომის ტესტ-მატჩებს ბორჯღალოსნები საქართველოში, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გამართავენ. სამიდან ერთ-ერთი მეტოქე, რომელსაც 22 ნოემბერს ვუმასპინძლებთ, ტიერ1-ის იაპონია იქნება, რომელსაც შარშან სტუმრად მოვუგეთ და ახლა რევანში წყურიათ.

„საქართველო მსოფლიო რაგბში ყველაზე განვითარებადი ქვეყანაა. ისტორიულად ძლიერი ქართველი მორკინალები, ახლა დიდ დახმარებას იღებენ ინდივიდუალიზმით გამორჩეული ხაზის მოთამაშეებისგან. საქართველოსთან თამაში ევროპული ტურის შესანიშნავი დასასრული იქნება და ის მოთამაშეებს არასდროს დაავიწყდებათ“ – განაცხადა იაპონიის ნაკრების ავსტრალიელმა დამრიგებელმა ედი ჯონსმა.

იაპონიასთან აქამდე 7-ჯერ გვითამაშია და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე შარშან სტუმრად დავამარცხეთ, მათთან ჯერაც უარყოფითი ბალანსი გვაქვს. განვლილი თამაშებიდან სამი თბილისში, „მიხეილ მესხზე“ გაიმართა, სამჯერ იაპონელებმა გვიმასპინძლეს, ერთი შეხვედრა კი ნეიტრალურ მოედანზე შედგა. მათგან ორი ბორჯღალოსნების გამარჯვებით დასრულდა, 5-ში კი მეტოქემ იმარჯვა.

იაპონიას პირველად 2006 წელს ოსაკაში ვეთამაშეთ და მასპინძლებმა 32:7 მოიგეს. 2012 წელს აზიელები „მიხეილ მესხზე“ გვეწვივნენ და ბოლო წუთზე აღებული 3 ქულით 25:22 მოიგეს. 2014 წელს იაპონელებს კვლავ „მესხზე“ დავუხვდით და ამჯერად 35:24 გავიმარჯვეთ.

მომდევნო წელს იაპონელებს ინგლისში, გლოსთერში მსოფლიო თასის წინ შევხვდით (10:13), 2016-ში კი მესამედ ვუმასპინძლეთ თბილისში (22:28). 2018 წელს მასპინძლებმა იაპონიაში მშრალი ანგარიშით, 28:0 გვაჯობეს, შარშან ზაფხულში კი მათ სენდაიში ვეწვიეთ და 25:23 დავამარცხეთ.

რომელ ქალაქში და სტადიონზე გაიმართება 22 ნოემბრის შეხვედრა, მოგვიანებით გაირკვევა.

თარიღი ცნობილია

ქართველი მოკრივე ლაშა გურული პროფესიონალურ კრივში იბრძოლებს, ის თავის სადებიუტო ჩხუბს მშობლიურ ქალაქ რუსთავში 15 მარტს გამართავს.

ამის შესახებ ინფორმაცია თავად ქართველმა მოკრივემ დაადასტურა. მისი მეტოქე განელი ბერნარდ აბეი იქნება, რომელსაც კარიერაში ხუთიდან ხუთი გამარჯვება აქვს.

შეგახსენებთ, რომ ლაშა გურული 63,5 კილოგრამში ასპარეზობს, მან ოლიმპიურ თამაშებზე მე-3 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველი სპორტსმენი ასევე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორიც გახლავთ.

აპრილია ბრუნდება

1 ივნისს, სანტა მონიკა-ჩელას ტერიტორიაზე, სარბოლო ბილიკი Aprilia All Stars 2025-ს უმასპინძლებს. ღონისძიება იტალიური ბრენდის, აპრილია-ს მიერაა ორგანიზებული და მოტოსპორტის სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე სანახაობრივ მოვლენად მიიჩნევა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება Aprilia Tuareg Rally – ჩემპიონი მოტოციკლი, რომელმაც ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა Africa Eco Race-ზე.

მოტოციკლების მაღაზია „პიტ-სტოპ მოტო“ Aprilia-ს ოფიციალური მომწოდებელია საქართველოში. მაღაზიაში მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს როგორც „აპრილიას“, ისე სხვა წამყვანი საერთაშორისო ბრენდების პროდუქცია.

ხსოვნის სიცოცხლე — ვიქტორია სირაძე

გასული წლის 22 თებერვალი თითოეული ჩვენგანისთვის უმძიმესი დღეა. გარდაიცვალა ჩვენი თაობის გამორჩეული სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ვიქტორია სირაძე.

იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ასეთი მდიდარი და მნიშვნელოვანი საქმეებით დახუნძლული ბიოგრაფია ჰქონდეს.

ქალბატონ ვიქტორიას ორ სხვადასხვა ერთმანეთთან განსხვავებულ ეპოქაში მოუწია მოღვაწეობა. თუ საქართველოში იმდროინდელ წინსვლასა და წარმატებებზე ვისაუბრებთ, შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ და ღირსეული პატივი არ მივაგოთ ქვეყნის წინაშე მის თავდადებულ ღვაწლს.

ვიქტორია სირაძე, მიუხედავად დიდი ოჯახური ტრაგედიისა და ტკივილისა, უდიდესი ნებისყოფის და სულიერი სიმტკიცის მაგალითია.

გმადლობ, ჩვენო უძვირფასესო, გზის გამკვალავო, უბრალოდ ღირსეულო და ერთგულო მეგობარო.

რა სწრაფად გაიარა ერთმა წელმა, რაც შენ ჩვენგან წახვედი, თუმცა ყოველთვის ჩვენთან ხარ და იქნები.

უფალო! გემუდარებით, ნათელში გვიმყოფე ჩვენი ვიქტორია!..

მეგობრები

ლილი დაუშვილი და სპარტაკ გოგინავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, ცნობილი მრეწველი, მეცენატი, ნოვატორი, მეცნიერი, მწერალი, სპორტსმენი, საკუთარი საქმის გამორჩეული პროფესიონალი, დიდებული მეოჯახე, სამეგობროს ლიდერი, სიკეთით, უბრალოებით, პრინციპულობით გამორჩეული პიროვნება, საქართველოზე ფანატიკურად შეყვარებული რაინდი კაცი

გოგი თოფაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, სამეგობროს და სრულიად საქართველოს.

პაკისტანელმა ცოლ-ქმარმა 13 წლის გოგო შოკოლადის მოპარვისთვის მოკლეს!

BBC-ის ინფორმაციით, პაკისტანში 13 წლის გოგონას მკვლელობის ბრალდებით ცოლ-ქმარი დააკავეს.

გოგონა, სახელად იქრა მათ ოჯახში დამხმარედ მუშაობდა. მედიის ცნობით, გოგონამ მუშაობა 8 წლის ასაკიდან დაიწყო და რამდენიმე ოჯახი გამოიცვალა.

ბავშვის მამის თქმით, მას ვალები ჰქონდა, რის გამოც შვილი სამუშაოდ გაუშვა და ის თვეში 23 დოლარს გამოიმუშავებდა.

ბოლო ოჯახში იქრამ 2 წელი გაატარა, დამქირავებლები მას შოკოლადის მოპარვაში ადანაშაულებდნენ.

პოლიციის განცხადებით, ბავშვს სხეულზე ცემისა და წამების კვალი ეტყობოდა, ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საპროტესტო აქციები საქართველოში გრძელდება, მოთხოვნები უცვლელია: ახალი არჩევნების დანიშვნა და აქციების დროს დაკავებულების გათავისუფლება. 18 თებერვალს, აქციის მონაწილეებმა რუსთაველის გამზირზე „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით, სიმბოლურ ნიშნად, შავი საჰაერო ბურთები მიიტანეს. როგორც მოქალაქეებმა აღნიშნეს, პროტესტი უნდა გაგრძელდეს, ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორების მხრიდან მუდმივი წნეხი: „არ გავჩერდებით ბიძინა ივანიშვილის სურვილის მიუხედავად დიდი აქციები წინ არის“.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციიდან დაბრუნებულ საქართველოს მე-5 პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს და „საქართველოსთვის“ ლიდერს გიორგი გახარიას თბილისის აეროპორტში მოქალაქეები დახვდნენ, რომლებმაც მათ კვერცხები დაუშინეს. როგორც გიორგი გახარია აცხადებს, აღნიშნული პირები „ქართული ოცნების“ დავალებით მოქმედებდნენ. სალომე ზურაბიშვილის შეფასებით კი, ადგილი ჰქონდა წინასწარ ორგანიზებულ ძალადობას, ხოლო შემდგომ უკვე „ოცნების“ მიერ გამართლებული იყო ძალადობა პრეზიდენტის მიმართ. სალომე ზურაბიშვილის თქმითვე, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა და მოითხოვა გამოძიება.

* * *

ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე For.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ თავად **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის შემოღებული კვერცხების სროლის უფლება:**

„კვერცხის სროლა დააკანონა თავად იმ ძალამ, რომელსაც ჰქვია კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ – თურმე კვერცხის სროლის უფლება ჰქონია მხოლოდ და მხოლოდ „ნაცმოძრაობას“. სალომე ზურაბიშვილი და გიორგი გახარია რასაც აკეთებენ, ამას ყორღანაშვილები, ბერბიჭაშვილები და ორჯონიკიძეებიც კი არ აკეთებდნენ – ესენი არიან საქართველოს მოღალატეები. ახლა არ ხდება ის, რომ ჯარი იქნას ჩამოყვანილი, როგორც შუა საუკუნეებში დარბოდნენ და დამპყრობლებს სთხოვდნენ შემოსულიყვნენ, საქართველო და ქართველი ხალხი დაესაჯათ, თორემ სწორედ ამას ითხოვენ, როდესაც მიდიან ბრიუსელში, როდესაც დადიოდნენ ვაშინგტონში. თავად სალომე ზურაბიშვილი მოუწოდებდა ხალხს„მოლოტოვის კოქტეილები “ესროლეთ პოლიციელებსო და ერთ-ერთი ტერორისტი გრიგორიადისი სწორედ მან შეიწყალა“, – განაცხადა ედიშერ გვენეტაძემ.

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა მომხდარი ფაქტი დაგმეს და აღნიშნეს, რომ მსგავსი რამ ყოვლად მიუღებელია. პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ ეს სიძულვილის გარემო შექმნილია გარედან, მათ შორის უცხოური დაფინანსებით:

„აბსოლუტურად მიუღებელი ფაქტია. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ფაქტებზე ყველას ჰქონდეს შესაბამისი რეაგირება. მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ ყველამ გააცნობიეროს. განსაკუთრებით, ეს ეხება დონორებს და ზოგიერთ ელჩს, რომელიც საქართველოში თესავს ზიზღის, აუტანლობის, განხეთქილების გარემოს. ამას აკეთებენ დაფინანსებით. ნაცვლად იმისა, რომ მორალი უკითხოს ევროკავშირის ელჩმა, ჩემი მოლოდინი იქნებოდა, რომ გაასაჯაროოს ევროკავშირის თითოეული ცენტის დაფინანსება საქართველოში.

განსაკუთრებით, ეს ეხება ევროპის დემოკრატიის ფონდს (**EED**), რომლის ფულიც ზუსტად რადიკალიზმის გაღვივებაში იხარჯება; რომლის ფულიც ექსტრემისტული ჯგუფების დაფინანსებაში იხარჯება. ეს ყველაფერი მან კარგად იცის, ცენტობითა და პროექტებით იცის და ამას არ უმხელს ქართველ ხალხს. ამიტომ თუკი ვინმეს მორალზე სურს საუბარი, სჯობს, ყველამ დაიწყოს საკუთარი თავიდან. უთხრას ქართველ ხალხს, რაში იხარჯება ეს ფული.

თუკი გაბედავენ და გაასაჯაროებენ **EED**-ის დაფინანსებას საქართველოში, იქ ამოიკითხავთ ყველაფერს. ნახავთ, ვინ აფინანსებდა „მოლოტოვის კოქტეილების“ კამპანიას და როგორ იქმნებოდა საქართველოში სიძულვილის გარემო. ნახავთ როგორ აფინანსებდა ევროკავშირის ევროპის დემოკრატიის ფონდი პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც საქართველოში ზიზღის და განხეთქილების დამნერგავები არიან.

რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი ფაქტი, ყველამ უნდა დაგმოს ასეთი ფაქტი. ეს სიძულვილის გარემო შექმნილია გარედან. ეს არის გარედან თავსმოხვეული სიძულვილის გარემო, რომელიც შექმნილია, მათ შორის უცხოური დაფინანსების, მილიონების ჩასხმით იმისთვის, რომ საზოგადოება ერთმანეთს წაკიდონ“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

რაც შეეხება მიმდინარე საპროტესტო აქციებს, გვენეტაძის შეფასებით, „პროცესები მილევადია“.

„დადიან – ჯერჯერობით კიდევ აქვთ შემორჩენილი ის ფულები – ოკეანის გაღმა კიდევ აქვთ ვალდებულებები და იმედი აქვთ, რომ ტრამპს და მის ადმინისტრაციას დაამარცხებენ. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ჭყონიასმაგვარი ე.წ. ბიზნესმენები ურიცხავენ აქციის ორგანიზატორებს ფულს საქართველოს ასაოხრებლად, მაგრამ ვხედავთ, რომ შემოაკლდათ ფული და შესაბამისად, შემოაკლდათ მომიტინგეები, ეს მილედავი პროცესია – ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“, – დასძინა ედიშერ გვენეტაძემ.

ნიკო ჩოხელი

კვერცხის ბუმერანგის ეფექტი

პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი დაჯარიმდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

გემმა ზღვა სამეურნეო წყლებით დააბინძურა. სამართალდარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 20 000 ლარზე მეტია.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, ფოთის სასამართლომ გემი სამართალდამრღვევად ცნო და 100-ათასლარიანი ჯარიმა დააკისრა.

პანამის დროშის ქვეშ მცურავ გემს საქართველოს ტერიტორიული წყლების დატოვებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლება დაკისრებული საჯარიმო სანქციისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ მიეცა.

ზღვის დაბინძურების ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა და პრევენცია დეპარტამენტისთვის პრიორიტეტულია. მიმდინარე წელს უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემების მიერ ზღვის დაბინძურების უკვე 2 ფაქტია გამოვლენილი, 2024 წლის განმავლობაში კი, 16 ფაქტი.

„ფორმის ანატომია“

მარინა ივანიშვილის გამოფენა



21 თებერვალს, 19:00 საათზე, საქართველოს ხელოვნების სასახლეში ქართველი მოქანდაკის, მხატვრისა და ხატმწერის – მარინა ივანიშვილის გამოფენა „ფორმის ანატომია“ გაიმართება.

„1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. 1976-1977 წლებში იყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მხატვარი. 1987-1988 წლებში – საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის მდივანი. 1986-1989 წლებში – მხატვრის სახლთან არსებული ქანდაკების ბავშვთა ექსპედიციის სტუდიის ხელმძღვანელი. 2001 წლიდან – „**On-line studio**“-ს ელექტრონული კატალოგის „**Art.ge**“ კონსულტანტი ხელოვნების დარგში.

მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ 150-მდე გამოფენაში, მათ შორის დიდგორის მემორიალის კონკურსში. გამართა პერსონალური გამოფენები: ქალთა კულტურის ცენტრში (ჰამბურგი, 1991), ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში (თბილისი, 1997).

მრავალი სტატიისა და რომანების: „კილერის რვეული“ (1998) და „თეთრი სივრცე“ (2000) ავტორია. თანამშრომლობდა ჟურნალ „ომეგასთან“. მისი სცენარის მიხედვით 1985 წელს გადაიღეს ფილმი „მოლოდინი“. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და სსრკ კულტურის ფონდებსა და კერძო კოლექციებში.



მარინა ივანიშვილი მონუმენტალისტია, ნახატში, ფერწერაში, რაც მთავარია – ქანდაკებაში. ძირითადად მცირე ზომის დაზგური ქანდაკებები აქვს. მისი შემოქმედება საერთაშორისო რანგის მოვლენაა, რაშიც ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნამუშევრები დაგარწმუნებთ“, – აღნიშნულია ხელოვნების სასახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში

საუკეთესო თბილისი პირველ ადგილზე გავიდა

კომპანია Enjoy Travel-ის ვერსიით საქართველოს დედაქალაქი მსოფლიოს 25 ქალაქს შორის ციფრულ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის საუკეთესოდ, ნომერ პირველ ადგილზე დასახელდა.



თბილისმა გაუსწრო ისეთ ქალაქებს, როგორიცაა ბუდაპეშტი, ტალინი, ვალენსია, სტამბოლი და საბერძნეთის კრეტას კუნძული.

რეიტინგში, რომლის სახელწოდებაა „ციფრული მომთაბარე ადამიანებისთვის 25 საუკეთესო ადგილი“, ქალაქები შეფასებულია შემდეგი კრიტერიუმებით: ინტერნეტის სიჩქარე, უსაფრთხოების ინდექსი, სამუ

ავსტრალიაში, ტასმანიის შტატში ზღვამ 150-ზე მეტი „პატარა მკვლელი ვეშაპი“ გამორიყა, რომელთაგან დაახლოებით 90 ჯერ კიდევ ცოცხალია.

The Guardian-ის ცნობით, ვეშაპები სანაპიროზე დაახლოებით 24-დან 48 საათამდე იმყოფებიან. ექსპერტების განმარტებით, ყველა ვეშაპის გადარჩენა პლაჟის შორეული მდებარეობის გამო რთული იქნება.

დაზუსტებულია, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც „პატარა მკვლელი ვეშაპები“ ნაპირზე გამოირიყნენ.

ვეშაპების ამ ქცევის მიზეზი მეცნიერებისთვის ამ დრომდე უცნობია.

„ქართული ხორბლის კულტურა“ აღიარებისკენ მიდის!

საქართველოს მიერ UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წარმომადგენლობით ნუსხაში 2024 წლის 28 მარტს წარდგენილმა ახალმა ნომინაციამ – „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ – განხილვის პროცესის პირველი, ტექნიკური შეფასების ეტაპი, წარმატებით გაიარა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ნომინაციის შინაარსობრივი შეფასების მეორე ეტაპი 2025 წლის ნოემბერში დასრულდება, ხოლო საბოლოო განხილვა გაიმართება **UNESCO**-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-20 სესიაზე 2025 წლის 8-13 დეკემბერს ინდოეთში, ქალაქ დელიში.

„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ – საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 მარტის №98 დადგენილებით განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

საქართველოს კულტურის სამინისტრო მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს და ნომინაციის მომზადების მონაწილე ყველა მხარეს“, – წერია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დიდმოწამე თეოდორე სტრატილატი

21 თებერვალს ხსენებაა თეოდორე სტრატილატისა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წინა ორი შვიდეულის განმავლობაში აღნიშნა მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე, უძღები შვილის კვირიაკე; მომავალი კვირა არის საშინელი სამსჯავროს ხსენება, ხორციელის კვირიაკე.

დღეს კი დიდმოწამე თეოდორე სტრატილატის (IV ს.) ხსენებაა. ის დაიბადა ევქიტში. თავისი ცხოვრების უდიდესი მონაკვეთი წარმართ მეომრებს შორის გაატარა.

თეოდორე სტრატილატმა მრავალი უღმერთო მოაქცია ჭეშმარიტების გზაზე (სარწმუნოებაზე). მან ლიციინიუსი თავად მოიწვია ჰერაკლიაში და აღუთქვა, რომ ღმერთებს მსხვერპლს შესწირავდა. თითქოსდა ამ დიდებული ცერემონიის აღსასრულებლად, მან საკუთარ სახლში თავი მოუყარა მთელი ქალაქის ოქროსა და ვერცხლის კერპებს!

ქრისტიანობის სიძულვილით დაბრმავებულმა ლიციენიუსმა ირწმუნა თეოდორეს შემონათვალი, მაგრამ სასტიკად მოტყუვდა: წმინდა მხედარმა ცრუ-ღმერთების ქანდაკებები შემუსრა, მათი ნამსხვრევები კი მოწყალებად გასცა.

აღსანიშნავია, რომ ამის გამო თეოდორე შეიპყრეს და სასტიკად აწამეს – მიწაზე დააკრეს, ხარის ძარღვებით სცემეს, რკინის სამთითებით ჯიჯგნეს, ცეცხლის ალზე ტანჯეს, თვალები დათხარეს, შემდეგ ხუთი დღე საპყრობილეში ამყოფეს მშიერ-მწყურვალი, ბოლოს კი ჯვარზე მიამსჭვალეს.

P. S. 22 თებერვალს მიცვალებულთა ხსენებაა.

24 თებერვლს იწყება ყველიერის შვიდეული.

გიული ლიპარტია

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებლები
გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 24 თებერვალს